

საჯარო მოხელეების სახელმძღვანელო

ელექტრონული ჩართულობისა და ელექტრონული პეტიციების შესახებ



პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

თბილისი
2014

ევროკავშირის ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის
ინსტრუმენტის (ENPI) პროგრამა საქართველოსთვის

პროექტის საკონტრაქტო ნომერი: 304 521

ევროკავშირისა და საქართველოს ელექტრონული მმართველობის მექანიზმი

საჯარო მოხელეების სახელმძღვანელო ელექტრონული
ჩართულობისა და ელექტრონული პეტიციების შესახებ

საქართველო
თებერვალი, 2014 წ.

ექსპერტები:
დოქტორი კოსტას მეტაქსიოტისი (Dr. Kostas METAXIOTIS)
ნიკოლაი ტერზიევი (Nikolay TERZIEV)

პროექტს ხელმძღვანელობს ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
პროექტის პარტნიორი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ
ორგანიზაცია დაიდიკასია ზიზნეს კონსულტანტების
ხელმძღვანელობით (Diadikasia Business Consultants S.A.)



პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

პროექტის დასახელება:

ევროკავშირისა და საქართველოს ელექტრონული მმართველობის მექანიზმი

პროექტის ნომერი:

EuropeAid/131671/C/SER/GE

ქვეყანა:

საქართველო

ხელშემკვერელი ორგანო

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

მისამართი:

ნინო ჩხეიძის ქ., #38, 0102
თბილისი, საქართველო

ტელ./ფაქსი :

+995 322943763
+995 322943768

საკონტაქტო პირი:

ზნ. ფილიპ ბერნარდი
(Mr. Philippe BERNHARD)
პროექტის მენეჯერი

ელ-ფოსტა:

Philippe.BERNHARD@eeas.europa.eu

ანგარიშის ავტორები:

კოსტას მეტაქსიოტისი (Kostas Metaxiotis)
გუნდის ლიდერის თანაშემწე /
მთავარი ექსპერტი
2 kmetax@unipi.gr – პუნქტები: 1, 2, 3

ნიკოლაი ტერზიევი (Nikolay Terziev)
მთავარი ექსპერტი 5, nterziev@spnet.net
პუნქტი: 4, დამატებითი რეკომენდაციები

ხელმოწერა:

Mr. Philippe BERNHARD
პროექტის მენეჯერი

ევროკავშირის კონსულტანტი

დიადიკასია ბიზნეს კონსულტანტები
(DIADIKASIA Business Consultants S.A.)

მისამართი:

296, Kifissias Ave.&40 Navarinou str.
GR-15232, Halandri
Athens, Greece

ტელ./ფაქსი :

+30 210 6729040
+30 210 6729043

საკონტაქტო პირი:

ზნ. კონსტანტინოს თსიაკატარასი
(Mr. Konstantinos TSIAKATARAS)
პროექტის დირექტორი

ელ-ფოსტა:

ktsiakataras@diadikasia.gr

ხელმოწერა:

Mr. Konstantinos Tsiakataras
პროექტის დირექტორი

სარჩევი

სადისტრიბუციო სია	7
ტერმინოლოგია	8
შესავალი	9
2. ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო	11
2.1. ზოგადი კონტექსტის განმარტება	11
2.2. ელ-ჩართულობის არსებული ფორმები და სფეროები	15
2.2.1. კონსულტაცია (Consultation)	15
2.2.2. განხილვა (Deliberation)	15
2.2.3. გამოკითხვა (Polling)	16
2.2.4. ხმის მიცემა (Voting)	17
2.2.5. ელექტრონული კამპანიის წამოწყება (Campaigning)	17
2.2.6. წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია (Electioneering)	17
2.2.7. პეტიციის წარდგენა (Petitioning)	18
2.2.8. გადაწყვეტილების მიღება (Decision Making)	18
2.2.9. მომსახურების მიწოდება (Service Delivery)	19
2.2.10. სივრცული დაგეგმარება (Spatial planning)	19
2.2.11. ინფორმაციული უზრუნველყოფა (Information Provision)	19
2.2.12. მედიაცია (Mediation)	20
2.2.13. საზოგადოების ჩამოყალიბება (Community Building)	20
2.3. ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად გამოყენებული ინსტრუმენტები	21
2.3.1. ჩატის ოთახი (Chat Rooms)	21
2.3.2. ბლოგები (Blogs)	21
2.3.3. ონლაინ ფორუმი (Online Fora)	22
2.3.4. ელ-პეტიციები (ePetitions)	22
2.3.5. ელექტრონული პანელები (ePanels)	23
2.3.6. ელექტრონულად ხმის მიცემა (eVoting)	23
2.3.7. ელექტრონული გამოკითხვები (ePolls)	24
2.3.8. ელექტრონული საზოგადოებები (eCommunities)	24
2.3.9. გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები (Decision Making Tools)	25
2.3.10. ვებ-მაუწყებლობის ინსტრუმენტები (Web-Casting Tools)	25
2.3.11. ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტები (eConsultation Tools)	25

2.4.	ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად გამოყენებული ტექნოლოგიები	26
2.4.1.	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Geographic Information Systems)	26
2.4.2.	პოდკასტები (Podcasts)	27
2.4.3.	ონლაინ გამოკითხვები (Online Surveys)	27
2.4.4.	არგუმენტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები (Argument Visualization Tools)	28
2.4.5.	სიახლეთა ჯგუფები (Newsgroups)	28
2.4.6.	ადრესატთა სიები (Mailing List)	28
2.4.7.	ვიკი-ბმულები (Wikis)	28
2.4.8.	საძიებო სისტემები (Search Engines)	29
2.4.9.	ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები (eNewsletters)	29
2.4.10.	ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავების ინსტრუმენტები (Natural Language Processing Tools)	30
2.5.	ელ-ჩართულობის სფეროებსა და ინსტრუმენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირი	30
3.	ელექტრონული პეტიციების სახელმძღვანელო	33
3.1.	ზოგადი კონტექსტი და განმარტება	33
3.2.	ელ-პეტიციის პლატფორმების ძირითადი მახასიათებლები	35
3.3.	ელ-პეტიციის საუკეთესო მაგალითები	36
3.3.1.	შოტლანდიის პარლამენტის ელ-პეტიციის წარმომდგენი	36
3.3.2.	ბრისტოლის ელ-პეტიციის წარმომდგენი	37
3.3.3.	#10 ელ-პეტიციის მომსახურება	38
3.3.4.	„იზრუნე მოქმედებისთვის“ პეტიციის (Care2) ვებგვერდი	40
3.3.5.	გერმანიის ბუნდესტაგის ელ-პეტიციის წარმომდგენი	41
3.3.6.	მომსახურება GoPetition	42
4.	დასკვნები	46
4.1.	რეზიუმე	46
4.2.	ძირითადი პუნქტების შეჯამება	46
4.3.	საქართველოს გამოცდილება	48
4.4.	რეკომენდაციები	51
	გამოყენებული ლიტერატურა	53

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მიმდინარე გამოცემა მომზადებულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით. ამ გამოცემაზე სრულიად პასუხისმგებელია კონსორციუმის ხელმძღვანელი და მისი შინაარსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას განხილული, როგორც ევროკავშირის შეხედულება.

სადისტრიბუციო სია

აღნიშნული დოკუმენტი მიწოდებული იქნება შემდეგი ორგანოებისთვის:

საჯარო სამსახურის ბიურო (CSB);

მონაცემთა გაცვლის სააგენტო (DEA).

ტერმინოლოგია

აბრევიატურა /ტერმინი	განმარტება
CSB	საჯარო სამსახურის ბიურო
DEA	მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
Web 2,0 technologies	მეორე თაობის ვებ-ტექნოლოგიები, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ მოიძიონ ინფორმაცია (სტატეკური ქსელი), არამედ ასევე ითანამშრომლონ და მოახდინონ ინფორმაციის განთავსება (დინამიური ქსელი)
IRC	ინტერნეტ ჩატი - რეალური დროის რეჟიმში, ინტერაქტიული ტექსტური შეტყობინებების ინტერნეტით გაცვლა ან კონფერენციის გამართვა
RSS feeds	ვებგვერდზე გამოქვეყნებული სიახლეები - ხშირად განახლებადი ინფორმაციების სია (ბლოგები, ახალი ამბები და ა.შ.). მომხმარებლები, რომლებიც არიან ვებგვერდის ხელმომწერები, გამოქვეყნებულ სიახლეებს მიიღებენავტომატურ რეჟიმში, დამატებითი ხელით შემოწმების გარეშე.
NLP	ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავება
ITC	საერთაშორისო ტელედემოკრატიის ცენტრი ნაპიერის უნივერსიტეტში
PPC	საჯარო პეტიციების კომიტეტი შოტლანდიის პარლამენტში
IDFI	ინფორმაციული თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობა
VDC	სოფლის განვითარების ცენტრი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია

1. შესავალი

გასული ათი წლის განმავლობაში ინტერნეტმა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა (ICT) დიდი მოცულობის ინფორმაცია გახადა ხელმისაწვდომი. ეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და მუდმივად განახლებადია. იმისათვის, რომ უფრო გამარტივებულიყო მაღალი ხარისხის ინფორმაციაზე წვდომა (სხვადასხვა ფორმატი: ტექსტი, აუდიო, ვიდეო, რუკები და ა.შ.) შემუშავდა რამდენიმე საკომუნიკაციო არხი, რაც მიმზიდველია ყველა ასაკის ფართო აუდიტორიისთვის. გარდა მარტივი ინფორმაციით უზრუნველყოფისა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, მოქალაქეებს ასევე ეძლევათ ერთმანეთთან ურთიერთობის, აზრის გამოთქმისა და საერთო ინტერესების მქონე საზოგადოებაში ჩართულობის საშუალება.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს ძლიერ ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სოციალურ მონაწილეობას და ამ გზით შექმნას უნიკალური შესაძლებლობა, ელექტრონული ჩართულობის საშუალებით უზრუნველყოს ძლიერი საზოგადოებრივი თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ელექტრონული ჩართულობა მნიშვნელოვანია, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. მოქალაქეების გადმოსახედიდან, ელ-ჩართულობა საშუალებას აძლევს ხალხს ხმა მიაწვდინონ პოლიტიკური თანამდებობის პირებს და ჰქონდეთ მათთან უშუალო კომუნიკაცია.

მოქალაქეების მსგავსად, ხშირად არც საჯარო მოსამსახურეებს ეძლევათ პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან დისკუსიაში ჩართვის საშუალება. მათი აზრის გამოხატვა შემოიფარგლება სამსახურებრივი დავალებების ვიწრო კონტექსტით ან სხვა კოლეგებთან თუ მოქალაქეებთან გამართული მარტივი პოლიტიკური დიალოგით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დისკუსიებისთვის ელ-პლატფორმების შემუშავება, საზოგადოების იმ მრავალფეროვანი შეხედულებების გაზიარების მიზნით, რომლებიც აუცილებელია საერთო და უმრავლესობისთვის მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

ამავე დროს, მოქალაქეებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო არხების შექმნით, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა ხელი უნდა შეუწყონ საჯარო ჩართულობას და შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრი. გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლებისთვის ხმის მიცემა მათი საერთო ინტერესების გამო მოხდა, მნიშვნელოვანია შემდგომის გააზრება: პოლიტიკური თანამდებობის პირები მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებენ მინიჭებულ ძალაუფლებას, თუკი ისინი წარმოადგენენ უმრავლესობის მოსაზრებებს. აქედან გამომდინარე, საჯარო მმართველობა უნდა იყოს გამჭვირვალე, ეფექტური და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

საზოგადოებრივი აზრის გამოხატვისა და პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან კომუნიკაციის ერთი-ერთი გავრცელებული ფორმაა პეტიცია, რომელიც არის ოფიციალური მოთხოვნა სახელმწიფო უწყებისადმი და მას გარკვეული რაოდენობის მოქალაქე აწერს ხელს.

გასული ათწლეულის განმავლობაში პეტიციის კონცეფცია გაფართოვდა და მისი წარდგენა უკვე ელექტრონული ფორმითაა შესაძლებელი. ელექტრონული პეტიციის (შემდგომში, ელ-პეტიცია) მხარდამჭერების მოგროვება ელექტრონულ სივრცეში ხდება. ელ-პეტიციის, როგორც მომსახურების ფორმის არსებობა აყალიბებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გზას პეტიციის განხორციელების პროცესისთვის და მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოხატონ მხარდაჭერა და კომენტარები გააკეთონ ონლაინ რეჟიმში. ზემოთ აღნიშნული ქმნის ელ-პეტიციების ონლაინ ისტორიას და უზრუნველყოფს პეტიციებთან, მათ შორის ბეჭდური ფორმით წარმოდგენილთან, დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული სივრცის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, ელ-პეტიციების საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია თუ მასალა, როგორცაა მოხსენებები, სტატისტიკა, სხვა ვებგვერდების ბმულები, მულტიმედიური მასალა და ა.შ.

გარდა ამისა, ელ-პეტიცია ხელს უწყობს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის წარმოებას და ეხმარება პეტიციით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღებაში. ელ-პეტიციების ვებგვერდი საჯარო დაწესებულებებს ან მოქალაქეებს აჩვენებს, თუ როგორია პეტიციების დამუშავების ზოგადი პროცესი. გამჭვირვალე ვებგვერდს, სადაც ნათლად ასახულია პეტიციის გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, ესაჭიროება ისეთი პროცედურის არსებობა, რაც ასახავს თუ რა გზით მოხდება პასუხის გაცემა გადაწყვეტილების მიმღების მიერ და რამდენად სწრაფად მიიღებს მოქალაქე აღნიშნულ პასუხს.

ელ-პეტიციები თანმხლები ფორუმებით საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებს უფრო დეტალურად ჩაწვდეს ამა თუ იმ საკითხს, ვინაიდან დისკუსია დასაშვებია მოიცავდეს კომენტარებს იმ ადამიანებისგან, ვინც არ ეთანხმება ელ-პეტიციას ან ვისაც დამატებითი პუნქტების ხაზგასმა სურს. უფრო მეტიც, ელ-პეტიციის წარდგენის შემდეგ მისი პროგრესის სიცხადე ზრდის გადაწყვეტილების მიმღების პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას, რაც რეაგირების პოტენციურ ნაკლებობასაც გულისხმობს. შესაბამისად, ელ-პეტიციები ელექტრონული ჩართულობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს წარმოადგენენ.

საქართველოს მთავრობამ ელექტრონული მმართველობა საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, ელ-მმართველობისა და ელ-მონაწილეობის სისტემების შექმნას და განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ვინაიდან სწორედ საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და მაღალი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე წარმოადგენს ძლიერი საჯარო სექტორის აუცილებელ წინაპირობას.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ელ-მმართველობისა და ელ-მონაწილეობის შესახებ არსებული თანამედროვე შეხედულებები და ქართულ თუ საერთაშორისო სინამდვილეში ამ შეხედულებების პრაქტიკაში დანერგვის წარმატებული მაგალითები. ის მიზნად ისახავს, გაძლიეროს და ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის სურვილს ელ-მმართველობის საკითხთან მიმართებაში და განმარტოს, თუ რას ნიშნავს ელ-ჩართულობა და ელ-პეტიციები, რატომ არის ის მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება მათი გამოყენება სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში.

მოცემული ინფორმაცია სასარგებლო იქნება სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეებისთვის არა მხოლოდ საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლების, არამედ წარმოდგენილი რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის კუთხით.

2. ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო





2.1. ზოგადი კონტექსტი და განმარტება

ტერმინი ელექტრონული ჩართულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ელექტრონულ დემოკრატიასთან და გულისხმობს დემოკრატიულ პროცესებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ერთმანეთთან, ისე პოლიტიკური თანამდებობისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ურთიერთობისთვის. ელ-ჩართულობა ასევე განკუთვნილია საჭირო ინფორმაციითა და შესაბამისი უფლებებით უზრუნველსაყოფად.

თუმცა, ელ-ჩართულობისა და ელ-დემოკრატიის მრავალი სხვა განმარტებაც არსებობს, რომელიც ამ ორი ტერმინის სხვადასხვა ასპექტზე ახდენს ფოკუსირებას. კერძოდ, გაეროს კვლევა ელ-ჩართულობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ციფრული საკომუნიკაციო მედიის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შექმნის პროცესში, მეტად ინკლუზიური, ღია, რეაგირებადი და საგანგებოდ ჩამოყალიბებული პროცედურების მეშვეობით“.

ელექტრონული დემოკრატიის მიზანია, ჩართოს მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამასთანავე, გააძლიეროს წარმომადგენლობითი დემოკრატია ინტერნეტზე წვდომის სხვადასხვა არხების გამოყენებით, როგორებიცაა: საჯარო და კერძო პერსონალური კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, მექანიკური მოწყობილობები, ინტერაქტიული ციფრული ტელევიზია და ა.შ. გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესი შესაძლოა, დავყოთ ორ კატეგორიად: ერთი უკავშირდება საარჩევნო პროცესს, ხოლო მეორე – მოქალაქეების ელ-ჩართულობით გადაწყვეტილების მიღებას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა „ელექტრონული მმართველობის მომსახურების გადახედვა“ (2009), გვთავაზობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საერთო მონახაზს მოქალაქეების ონლაინ რეჟიმში მონაწილეობის მხარდასაჭერად და ხაზს უსვამს ელ-ჩართულობის უმნიშვნელოვანეს მიზნებს, რომლებიც შეჯამებულია შემდგომი მიმართულებებით:

ელ-ჩართულობის მიზნები

-  უფრო ფართო აუდიტორიის მოზიდვა მეტი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით
-  ჩართულობის მხარდაჭერა რიგი ტექნოლოგიების მეშვეობით, რათა მოხდეს მოქალაქეების მრავალფეროვანი ტექნიკური შესაძლებლობებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება
-  სამიზნე აუდიტორიისთვის შესაფერისი ინფორმაციის მიწოდება უფრო ხელმისაწვდომ და გასაგებ ფორმატში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფორმირებული მონაწილეობა
-  უფრო ფართო აუდიტორიასთან თანამშრომლობა, საფუძვლიანი ჩართულობისა და დებატების მხარდასაჭერად

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საჭიროა, განხორციელდეს რამდენიმე ქმედება შემდგომზე ყურადღების გამახვილებით:

განსახორციელებელი ქმედებები




გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების და საჯარო ხელისუფლების წახალისება, რათა განიხილონ დემოკრატიის ხელშესაწყობად ელ-ჩართულობის ინსტრუმენტების გამოყენების გზები და განავითარონ სტრატეგიები ელ-ჩართულობის მეთოდების საჭიროებისამებრ განსახორციელებლად

ელ-ჩართულობის სფეროში, უკვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, ძირითად მიზნად კი მოქალაქეთა სარგებელის დასახვა

გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესის გამდიერებისა და მხარდაჭერის მიზნით, მეორე თაობის ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ინსტრუმენტების შემუშავება

დემოკრატიულ პროცესებში, მოქალაქეების ელ-ჩართულობისა და საჯარო მონაწილეობის ხელშეწყობა

ელ-ჩართულობის მიზნების პრიორიტეტების შეფასებისას ხაზი უნდა გაესვას ინფორმაციით უზრუნველყოფის მნიშვნელობას, საჯარო მოხელეებისა და სხვა მოქალაქეების მხრიდან ინფორმირებული მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. შინაარსის მიწოდება დასაშვებია ნებისმიერი ფორმით, რაც შექმნის პირამიდას, რომელსაც თანაფარდობაში მოჰყავს საჯარო მონაწილეობის დიაპაზონი იმ დონემდე, რა დონემდეც მოხდა ინფორმაციით უზრუნველყოფა ელ-ჩართულობის ინსტრუმენტების საშუალებით, მომხმარებელთა შორის ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. „დიაგრამა 1“ ასახავს პირამიდას, რომელიც მოიცავს ელ-ჩართულობის ინსტრუმენტების მცირე რაოდენობას.



დიაგრამა 1: ელ-ჩართულობის პირამიდა

ელ-ჩართულობის მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის საჭიროება, იმ გამოცდილებასთან ერთად, რომელიც ამ სფეროში იქნა მიღებული გასული წლების განმავლობაში, ქმნის რიგ გამოწვევებსა და ბარიერებს:

ელ-ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები და ბარიერები








- 
სოციალური გამოწვევები და ბარიერები
- 
პოლიტიკური გამოწვევები და ბარიერები
- 
ორგანიზაციული გამოწვევები და ბარიერები
- 
ტექნოლოგიური გამოწვევები და ბარიერები
- 
მომხმარებლის ჩართულობა




ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ევროკავშირის ქვეყნების ელ-ჩართულობის რეიტინგს, გაეროს ელ-ჩართულობის 2012 წლის კვლევის მიხედვით. გაეროს ელ-ჩართულობის ინდექსი აფასებს სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარმოებული ინფორმაციისა თუ სერვისის ხარისხს და სარგებელს, რაცემსახურება მოქალაქეების ჩართვას საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ელექტრონული მმართველობის პროგრამების გამოყენების გზით.

ამგვარად, ნათლად ჩანს, სახელმწიფოს შესაძლებლობა და სურვილი, ხელი შეუწყოს მოქალაქეების ჩართულობას საჯარო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შექმნას სოციალურად ინკლუზიური სახელმწიფო მმართველობის პროგრამა.

ცხრილი 1: გაეროს ელ-ჩართულობის მაჩვენებელი ევროკავშირში

ქვეყანა	ელ-ჩართულობა 2012	ელ-ჩართულობა 2010
 პოლანდია	1,0000	0,6000
 დიდი ბრიტანეთი	0,9211	0,7714
 ესტონეთი	0,7632	0,6857
 გერმანია	0,7632	0,6143
 ფინეთი	0,7368	0,4143
 ნორვეგია	0,6842	0,5000
 შვედეთი	0,6842	0,4857
 საფრანგეთი	0,5789	0,6000
 დანია	0,5526	0,6429
 ავსტრია	0,3684	0,5000
 საბერძნეთი	0,3421	0,2571
 იტალია	0,2632	0,2143
 ლატვია	0,2105	0,2714
...
 პოლონეთი	0,1842	0,2429
 ირლანდია	0,1316	0,4429
...
 რუმინეთი	0,0789	0,1857
 ბულგარეთი	0,0263	0,3000

რაც შეეხება საქართველოს, გაეროს ელ-ჩართულობის 2012 წლის კვლევა წარმოგვიდგენს შემდგომ მაჩვენებლებს:

ქვეყანა	ელ-ჩართულობა 2012	ელ-ჩართულობა 2010
 საქართველო	1,2105	1,0571

2.2. ელ-ჩართულობის არსებული ფორმები და სფეროები

2.2.1. კონსულტაცია (Consultation)

კონსულტაცია წარმოადგენს ორმხრივ ურთიერთობას მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, რომლის პირითადაც მახასიათებელია მოქალაქეების მხრიდან უკუკავშირის უზრუნველყოფა მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესახებ, რაც მიწოდებულ იქნა გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ.



კონსულტაციის საერთო პროცესს მართავს სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მოქალაქეებს აწვდის შესაბამის ინფორმაციას კონსულტაციაზე გასატანი საკითხების შესახებ, ასევე წარადგენს რიგ შეკითხვებს, რომლებზეც საჭიროა პასუხების გაცემა და საბოლოოდ, განსაზღვრავს აღნიშნულ პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის ფუნქციას. ამ პროცესში, მოქალაქეების ამოცანაა, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გააცნონ საკუთარი შეხედულებები და კომენტარები საკონსულტაციო საკითხთან დაკავშირებით.

მოქალაქეებს შეუძლიათ პასუხის ინტერაქტიულად გაცემა და ონლაინ რეჟიმში კომენტარის გაკეთება. ასევე, მათ აქვთ საშუალება კონსულტაციაში საკუთარი წვლილი შეიტანონ ინფორმაციით გამყარებული არგუმენტებით, რაც მოძიებულია ისეთი ონლაინ რესურსებიდან, როგორცაა მონაცემთა საცავები, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიახლეები (RSS feeds) და საკონსულტაციო საკითხთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები.

2.2.2. განხილვა (Deliberation)



განხილვა აფართოებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ონლაინ დისკუსიისა და აზრთა გაცვლის საზღვრებს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი განხილვაში და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით კი განხილვის პროცედურის საწყის ეტაპზე

(მაგ., კანონის მომზადების შემთხვევაში). ბოლო ეტაპებზე მათი ფუნქცია ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, რადგან მონაწილეობა, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება მოსაზრებებისა და კომენტარების განთავსებით იმ დისკუსიაზე, რომელიც განსაზღვრულია ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების, ოურიდიული ექსპერტების და საჯარო მოხელეების მიერ.

განხილვის პროცესი ელექტრონულ დემოკრატიას ახალ ხარისხს სძენს. ელექტრონული განხილვა ახასიათებს მომდევნო მნიშვნელოვან თავისებურებები:

ქმნის გადაწყვეტილების მიღებისა და კანონმდებლობის ფორმირების ახალ სტრუქტურას, საზოგადოების აქტიურ მონაწილეობაზე დაყრდნობით.

გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე პროცესის ჩამოყალიბების მეშვეობით აძლიერებს ხალხის ნდობას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.

განხილვის შედეგად, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე იზრდება. მათთვის ხელმისაწვდომი ხდება სასარგებლო და ხარისხიანი ინფორმაცია, რის შედეგადაც, შეუძლიათ მეტი წვლილი შეიტანონ აზრის გამოხატვითა და არგუმენტების წარდგენით. გარდა ამისა, შეხედულებების გაცვლამ შესაძლებელია ნათელი მოჰყინოს განსახილველი საკითხის რამდენიმე ისეთ ასპექტს, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის არსში ჩაწვდომას.

განხილვის პროცესისთვის დამახასიათებელი მოვლენაა საერთო ინტერესებისა და შეხედულებების მქონე მოქალაქეებისგან შემდგარი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც თავისთავად ქმნის საერთო აზრს და მხარს უჭერს მას ძალზედ ძლიერი და კარგად ფორმულირებული არგუმენტებით, ამგვარად კი ამყარებს იმ მოსაზრებას, რომელსაც გამოხატავს.

2.2.3. გამოკითხვა (Polling)

ელექტრონული გამოკითხვა არის პროცესი, რომლის დროსაც გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რათა ჩატარდეს კვლევები და დადგინდეს, თუ რა სახის შეხედულებები აქვს ხალხს სხვადასხვა თემებზე. ელექტრონული გამოკითხვის შედეგად გამოყენებული კვლევები, მიმართულია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც შერჩეულ იქნა მეცნიერული და სტატისტიკური გზით.



აღნიშნული კვლევები ტარდება რიგი კითხვების დასმით, რომლებიც სრულდება ზოგადი ექსტრაპოლაციით თანაფარდობაში ან ნდობის ინტერვალის ფარგლებში. ელექტრონული გამოკითხვის სისტემებს, ახასიათებთ ნაკლებად მკაცრი უსაფრთხოების მოთხოვნები ელექტრონულ ხმის მიცემასთან შედარებით. კერძოდ, შესაძლებელია ისეთი შეცდომების დაშვება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ხმების მცირე პროცენტულ რაოდენობაზე, საბოლოო შედეგის ხელშეუხებლად. ელექტრონული გამოკითხვის მთავარი მოქმედი პირები და მახასიათებლები შემდეგნაირია: ამომრჩევლები, როგორც მხარეები, რომელთა ინტერესებიც შედის გარკვეულ საკითხზე კენჭისყრა; კენჭისყრის/საარჩევნო ხმების დამთვლელი, რომელიც ჩვეულებრივ არის საჯარო უფლებამოსილი ორგანო და პასუხისმგებელია პროცესის განმავლობაში შემოსული ხმების შეგროვებასა და დათვლაზე; მხარე, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ვალიდურობასა და გამჭვირვალობას; ამომრჩეველთა ვინაობის იდენტიფიკაციისთვის განკუთვნილი ავტორიზაციის ოქმები; ხმის მიცემის მოწმობა, რომელიც ადასტურებს ამომრჩევლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის პროცესში.

2.2.4. ხმის მიცემა (Voting)



საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს თამაშობენ ელექტრონულად ხმის მიცემის პროცესში, ვინაიდან ისინი მხარს უჭერენ მოქალაქეების უფლებებს, ხმა მისცენ და აირჩიონ სასურველი წარმომადგენლები. თუმცა, ელექტრონულად ხმის მიცემა ძალზედ ზოგადი ტერმინია, რადგანაც ეხება ინდივიდუალური საკითხების ფართო სპექტრს, რომლებიც აყალიბებს კენჭისყრის პროცედურას

და ვრცელდება ხმების ავტომატური დათვლიდან მოხილვით ტელეფონების გამოყენებამდე ან სხვა ტექნოლოგიურ სახეობამდე, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მოახდინონ საკუთარი ვინაობის იდენტიფიცირება და ხმის მიცემა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ელექტრონულად ხმის მიცემას დიდი წვლილი შეაქვს მოქალაქეების ჩართულობაში, ვინაიდან ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო პროცედურაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით.

2.2.5. ელექტრონული კამპანიის წარმოება (Campaigning)

ელექტრონული კამპანიის წარმოება (ანუ ელექტრონული პროპაგანდა) ეხება კამპანიის სტრატეგიის ორგანიზებას მისი მიზნების განხორციელებისთვის, იმ ვებ ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც ნაცნობია ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობისთვის. ელექტრონულ კამპანიას აქვს კონკრეტულ აუდიტორიაზე მიმართული, მკაფიო და ჩამოყალიბებული მიზნები. ინტერნეტ სივრცესა და ახალი მედია საშუალებების გამოყენებით ხდება ხმის მიწვდენა მიზნობრივ აუდიტორიასთან.



კამპანიის მიზანია მხარდამჭერი ჯგუფების შექმნა მარტივი და მიზნობრივი გზავნილისა თუ ციტატის ჩამოყალიბების დახმარებით. საარჩევნო პროცედურაში, მოქალაქეების მხარდაჭერის მოსაპოვებლად პოლიტიკური თანამდებობის პირები და პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ელექტრონული კამპანიის სპეციფიკური ფორმაა წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია.

2.2.6. წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია (Electioneering)

წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია მოიცავს კანდიდატების მიერ განხორციელებულ, ამომრჩევლებზე მიმართულ აქტივობებს. წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანიის დროს, კანდიდატების გზავნილების გასავრცელებლად და საზოგადოების დასარწმუნებლად გამოიყენება საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, როგორცაა: პლაკატები, ფლაერები,



Elections

სიტყვით გამოსვლები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. წინასაარჩევნო პოლიტიკურ კამპანიაში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გარდაქმნის აღნიშნულ კამპანიას ელექტრონულ კამპანიად. ამ შემთხვევაში, კანდიდატები იყენებენ ინტერნეტსა და ახალ მედია-საშუალებებს, რათა ჩამოაყალიბონ საკომუნიკაციო არხები ამომრჩევლებთან და საკუთარი გზავნილი თუ შეხედულებები გაუზიარონ ფართო საზოგადოებას. ამ ყველაფერს შესაძლოა საარჩევნო

პროცესის მომავალი ვუწოდოთ, რადგანაცდელიერი ინტერნეტ კომუნიკაციისდა სტრატეგიის არსებობასშესაძლოა გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საბოლოო შედეგის მიღებისთვის.

2.2.7. პეტიციის წარდგენა (Petitioning)

პეტიციების მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი აზრისა და შეხედულებების გამოხატვა მათთვის პრობლემატურ საკითხებზე. პეტიცია წარმოადგენს ოფიციალურ მოთხოვნას ზემდგომი ორგანოსადმი, რასაც მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა აწერს ხელს. მისი წარდგენა სათავეს ჯერ კიდევ საქონური დროიდან იღებს. ის ნახსენები იყო თავისუფლების დიდი ქარტიაში („მაგნა კარტა“) და კიდევ უფრო ვრცლად წარმოდგენლია 1406 წლის აქტში.



შეზღუდული პოლიტიკური უფლებების ეპოქაში, საჯარო პეტიცია მნიშვნელოვანი იყო მათთვის, ვისაც არ გააჩნდა საპარლამენტო წარმომადგენლობა საკუთარი პრეტენზიების გამოსათქმელად. ბოლო დროს, მისი ზეგავლენის დონე შემცირდა, ვინაიდან საზოგადოების წუხილის გაზიარება მედიის საშუალებითაცგახდა შესაძლებელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ დემოკრატიაზე მზარდი აქცენტის გაკეთების შედეგად, პეტიციების გავლენა კვლავ გააქტიურდა.

ელექტრონულია პეტიცია, რომელიც მზარდაჭერას ელექტრონულად აგროვებს. ის საშუალებას აძლევს განმცხადებელს, წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია, ხელი შეუწყოს საკითხის გარშემო დისკუსიის გამართვას და ამგვარად, დაეხმაროს იმ პირებს, ვისაც მისი ხელმოწერა ან მისი მიღება აინტერესებთ. აღნიშნული სერვისი ქმნის კიდევ ერთ არხს პეტიციის წარდგენის პროცესისთვის. შესაძლოა, შეიქმნას ელექტრონული პეტიციების ონლაინ ჩანაწერები (მოხდეს აღრიცხვა), რაც ქმნის პეტიციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ონლაინ ბაზას. ელექტრონული პეტიციის სერვისი არ ისახებს მიზნად რაიმე განსხვავებების შექმნას არსებულ კონსტიტუციურ თუ შიდა პროცესებში. ის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს და პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, დაინახონ, თუ როგორ ხდება პეტიციების დამუშავება ზოგადად. ელ-პეტიციას აქვს პოტენციალი, გახდეს ეფექტიანი ინსტრუმენტი, ჩამოაყალიბოს მუდმივი დიალოგი მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს/პოლიტიკის შემქმნელებს შორის და გააძლიეროს არსებული დემოკრატიული, წარმომადგენლობითი სტრუქტურების ღირებულებები.

2.2.8. გადაწყვეტილების მიღება (Decision Making)

ჩართულობა, განსაკუთრებით კი ელ-ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის ძალზედ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს. გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი პროცესის დროს კეთდება საბოლოო არჩევანი რამოდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს შორის, რაც წამოჭრილი პრობლემისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებული მხარე, რომელსაც ეხება დასმული პრობლემა უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ახდენდეს სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას, საკუთარი შეხედულებების გამოხატვას და ზოგადად, ნებისმიერი საშუალებით პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აღნიშნულ პროცესში ყველაზე აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფენ.

2.2.9. მომსახურების მიწოდება (Service Delivery)



ელ-ჩართულობის სფერო ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტრონული მმართველობის მე-4 და მე-5 დონის ელექტრონული მომსახურებასთან, რომელთა განხორციელებაც სრულად ხდება ინტერნეტით, მოქალაქის ფიზიკური დასწრების აუცილებლობის გარეშე. აღნიშნული დაკავშირებული უნდა იყოს ტრანზაქციის ეტაპთან, რომელშიც მოქალაქე აქტიურად მონაწილეობს სასურველი მიზნის მისაღწევად. ლოგიკურია, ძლიერი კავშირი ელ-მმართველობასა და ელ-ჩართულობას შორის, რადგანაც რაც უფრო მეტია ინტერნეტით მიწოდებული სერვისის/მომსახურების რაოდენობა, მით უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული.

2.2.10. სივრცული დაგეგმარება (Spatial Planning)

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება ისეთი სისტემების განვითარებისთვის, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ გადაწყვეტილების მიღების ძლიერ ინსტრუმენტებს სივრცული დაგეგმარების პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონები, სადაც მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ინტერესი. გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემებმა (GIS) ან სხვა ტექნოლოგიებმა, როგორცაა Google Maps ან Google Earth,



რომელთაც თან ახლავს სასარგებლო ინფორმაცია კანონების, დირექტივების და რეგიონალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესახებ, შესაძლოა შექმნან ელ-ჩართულობის ძლიერი ინსტრუმენტი. აღნიშნული მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე მხარეებს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარებას ავტომატური და სწრაფი გზით, ასევე განკუთვნილია გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რომლის მიღწევაც მოხდება სივრცული დაგეგმარების პროცედურების განხორციელებით.

2.2.11. ინფორმაციული უზრუნველყოფა (Information Provision)

ინფორმაციული უზრუნველყოფა ელ-ჩართულობის ნებისმიერი სისტემის უმნიშვნელოვანესი პარამეტრია, რადგანაც მისი ძირითადი ამოცანაა ინფორმირებული საზოგადოების არსებობა, რომელსაც წვლილი შეაქვს პროცესში ძლიერი არგუმენტაციით გამყარებული შეხედულებებით. ასეთი შეხედულებების ფორმულირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პიროვნება ფლობს ამომწურავ ინფორმაციას განსახილველი საკითხის შესახებ. სწორედ ამიტომ ინფორმაცია უნდა იყოს უსუსტი, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული, ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული და გადმოცემული. კარგად ინფორმირებული მოქალაქე უნდა იყოს მოტივირებული, რომ გამოხატოს საკუთარი შეხედულება.

2.2.12. ინფორმაციული უზრუნველყოფა (Information Provision)

მედიაცია (შუამავლობა), ფართო გაგებით, შედგება ურთიერთდამოკიდებული, მოწინააღმდეგე ტერმინების შეჯერების შემეცნებითი პროცესისგან, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „ინტერპრეტაცია“ ან „რისამე გაგება“. მედიაცია არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტა ან „დავის შესაბამისი გადაწყვეტა“, რომელიც მიზნად ისახავს ორი (ან მეტი) მოდავე მხარისთვის შეთანხმების მიღწევაში დახმარების გაწევას. მესამე მხარის მიერ დადგენილი ნორმის მიღების ნაცვლად მხარეები თავად განსაზღვრავენ ნებისმიერი მიღწეული შეთანხმების პირობებს.



დავები შესაძლოა იყვნენ: სახელმწიფოებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, ცალკეულ ინდივიდებს ან სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც შედეგით არიან დაინტერესებულნი. ელ-ჩართულობის თვალსაზრისით, მედიატორები იყენებენ შესაბამის მეთოდებს, ინსტრუმენტებს ან უნარებს, რათა წამოიწყონ ან გააუმჯობესონ დიალოგი მოდავეებს შორის და მიზნად ისახვენ დაეხმარონ მხარეებს სადავო საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევაში. ზოგადად, მედიატორი განხილულ უნდა იქნეს განცალკევებულ მხარედ.

ელ-ჩართულობის სისტემები და ინსტრუმენტები, როგორც წესი, მოდავეებს შორის მედიატორის როლს ასრულებენ, რათა მოიძებნოს დავის ისეთი გადაწყვეტის ფორმა, რომელიც პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის იქნება მისაღები.

2.2.13. საზოგადოების ჩამოყალიბება (Community Building)

საზოგადოების ჩამოყალიბება არის ის სფერო, სადაც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ჩამოაყალიბონ განსაკუთრებული საერთო მახასიათებლების მქონე საზოგადოებები. აღნიშნული საზოგადოებები იზიარებენ საერთო ინტერესებს ან წარმომადგენენ ერთ სფეროს, მაგ.: რეგიონალური, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა საზოგადოებები.



გაერთიანების ჩამოყალიბება სოციალურ ქსელში კომუნიკაციის ძირითადი ელემენტია. ამის თვალსაზრისით მაგალითია Facebook-ი, სადაც მომხმარებლები იკრიბებიან. შექმნილი ჯგუფების წევრებს აერთიანებს საერთო ჰობი, შეხედულებები, ყველაფერი ის, რაც მოსწონთ ან არ მოსწონთ. ამგვარად, ისინი აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ეს არის გზა, რომლის მეშვეობითაც ხდება მეტი მხარდამჭერის მოზიდვა, მოქალაქეების გააქტიურება და მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. სოციალურ ქსელში ხდება ადამიანებს შორის ურთიერთობისა და შეხედულებების აბსოლუტურად თავისუფლი გაზიარება ძალაუფლების მქონე პირების მხრიდან მანიპულაციების გარეშე.

2.3. ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად გამოყენებული ინსტრუმენტები

ელ-ჩართულობისთვის სისტემის განვითარება დაფუძნებულია უკვე არსებული ინსტრუმენტებით სარგებლობაზე, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ ერთმანეთთან ურთიერთობის სხვადასხვა გზებს. ასეთი ტიპის ინსტრუმენტები პირდაპირ არ წარმოადგენს ელ-ჩართულობის ინსტრუმენტებს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ისინი აერთიანებენ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ელ-ჩართულობის ხელშემწყობი ინსტრუმენტები.

2.3.1. ჩატის ოთახი (Chat Rooms)

„ჩატის ოთახი“ არის ვებ-აპლიკაცია, რომელიც განკუთვნილია საერთო ინტერესების მქონე მომხმარებლებისთვის. ჩატის ოთახი იძლევა ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებას, რეალურ დროში, გზავნილების გაგზავნისა და მიღების მეშვეობით. აღნიშნული გზავნილები ხელმისაწვდომია ყველა იმ მომხმარებლისთვის, რომელიც მოცემულ მომენტში ჩატის კონკრეტულ ოთახშია გაწევრიანებული.



გარდა ტექსტური გზავნილებისა, ზოგიერთი ჩატი, მაგალითად Yahoo-ს, იყენებს ტექსტურ და ხმოვან შეტყობინებებს ერთდროულად. ჩატის სივრცის ყველაზე ძველი ფორმა ტექსტური გზავნილებაა. დღესდღეობით, ყველაზე პოპულარული აპლიკაციაა პირდაპირი დროის რეჟიმში ინტერაქტიული ტექსტური შეტყობინებების გაცვლა (IRC). ასევე, არსებობს გრაფიკული ინტერფეისის მქონე ტექსტური ჩატის სივრცეები, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, აირჩიონ საიდენტიფიკაციო პიქტოგრამა და შეცვალონ ჩატის საკუთარი ფანჯარა.

2.3.2. ბლოგები (Blogs)



„ბლოგი“ ან „ვებ-ბლოგი“ არის საერთო ონლაინ ჟურნალი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ სხვადასხვა ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების, ჰობისა თუ ინტერესების შესახებ. თითოეულ გამოაქვეყნებულ მასალაზე მკითხველს შეუძლია კომენტარის გაკეთება, რომლის განთავსებაც ძალზედ მარტივია. ჰერინგის მიხედვით, ბლოგი წარმოადგენს ინტერნეტ კომუნიკაციის უახლეს მიმდინარეობას, რომლის მეშვეობითაც მარტივია პოპულარობის მოხვეჭა.

თუმცა, ბლოგის მახასიათებლების სისტემატური აღწერილობის დადგენა ჯერ არ მომხდარა. ვებ-ბლოგი ხშირად საკუთარი მოსაზრებებისა და გავრცელებული ინფორმაციის გაზიარებისთვის გამოიყენება და არა დიდი რაოდენობის ელექტრონული წერილების დაგზავნის ან ამა თუ იმ შეხედულების პოტენციური მხარდამჭერების ჯგუფის მოძიების მიზნით. ძალაუფლების მქონე პირებისთვის ბლოგი სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ქმნის ახალ არხს მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ, მოსაზრებების, ქმედებებისა თუ ინიციატივების გაზიარების მიზნით.

ბლოგები შესაძლოა დავახასიათოთ, როგორც მმართველობის საინტერესო ინსტრუმენტი, ვინაიდან მმართველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია საკუთარ ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მეორე მხრივ, თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება იყონ ინფორმირებული მმართველი საბჭოს

საქმიანობის შესახებ. და ბოლოს, ბლოგი შესაძლოა იყოს ინფორმაციის გავრცელების შესანიშნავი საშუალება. მაგ.: კომიტეტი გამოაქვეყნებს ამა თუ იმ შეხვედრის მსვლელობის ჩანაწერებს, მენეჯერი – მიმდინარე პროექტის შემდგომ ეტაპებს ან პროექტის სტატუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას და შეინარჩუნებს საინფორმაციო კავშირს საპროექტო გუნდის სხვა წევრებთან. ბლოგები მჭიდრო კავშირშია ინფორმაციით უზრუნველყოფასთან, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ინფორმაციის მოპოვება ვერ ხერხდება პირდაპირ ორგანიზაციისგან. მსგავსი ინფორმაციით უზრუნველყოფა მოქალაქეებს უჩენს განცდას, რომ მათ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე ან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. აღნიშნული შეიძლება დახასიათდეს, როგორც ვებ-ბლოგის ყველაზე მნიშვნელოვანი როლიდემოკრატიულ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

2.3.3. ონლაინ ფორუმი (Online Fora)

ფორუმი ან სადისკუსიო გვერდი არის ვებ-აპლიკაცია, რაც ონლაინ დისკუსიის საშუალებას აძლევს საერთო ინტერესების, მოსაზრებების, ჰუმორის მქონე ან ერთი პოლიტიკური პარტიის, სამოქალაქო ორგანიზაციის და ნებისმიერი სახის ორგანიზაციის წევრებს. მისი მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ შეტყობინების გაცვლა ან სხვა მომხმარებლის მიერ განთავსებულ შეტყობინებაზე კომენტარის გაკეთება. ფორუმი ხშირად მოდერატორის მიერ კონტროლირდება, რაც მოითხოვს მომხმარებლის მხრიდან გარკვეულ პირობებზე დათანხმებას და გზავნილების დადგენილი წესებით წარმოებას, რათა არ მოხდეს მომხმარებლის დაბლოკვა, გაუქმება.



ფორუმის მეშვეობით წარმართული ონლაინ დისკუსია იწყება საწყისი თემით, რომელზეც მომხმარებლები პასუხობენ ან ახალ შეტყობინებებს ანთავსებენ, შედეგად, ქმნიან მოძრავ დიალოგს. ონლაინ ფორუმების სპეციფიკური ფორმაა სტრუქტურირებული ფორუმი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს შესაძლებლობას განათავსოს რომელიმე მოსაზრების მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო შეხედულება, რის შედეგადაც იქმნება დისკუსიის რუკა. რუკა წარმოადგენს დისკუსიის მიმოხილვას, აჩვენებს მოსაზრებებს, რომლებმაც მოიპოვეს საერთო აღიარება და შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, როგორც გადაწყვეტილების მიღების ძალზედ კარგი ინსტრუმენტი.

2.3.4. ელ-პეტიციები (ePetitions)



ელ-პეტიცია, ძირითადად, გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციების ან ორგანიზაციების მიერ, როგორც გადაწყვეტილებების მიმღებ პირებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება. ელ-პეტიცია არ წარმოადგენს ინტერაქტიულ ინსტრუმენტს. ეს არის კოლექტიური მეთოდი, რომელიც ხალხს მოუწოდებს, პეტიციაზე ხელმოწერის მეშვეობით, მათი ინტერესის ფარგლებში არსებულ საკითხს მხარი დაუჭიროონ ან შეეწინააღმდეგონ, რათა შეგროვდეს ხელმოწერების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ელ-პეტიციის ინსტრუმენტები მუდმივად ცვალებადია. რიგ შემთხვევებში მომხმარებლებს აქვთ გაფართოებული ფუნქციების (როგორებიცაა: დისკუსიის გამართვის შესაძლებლობა ან სხვადასხვა ფორმით ინფორმაციული უზრუნველყოფა) გამოყენების საშუალება.

ელ-პეტიციის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მისი ფართო გავრცელება და მაქსიმალურად მეტი ხმის შეგროვებაა, ვინაიდან სწორედ ხმების რაოდენობა წარმოადგენს ადინიშნული პროცედურის რეალურ ამოცანას. ელ-პეტიციის ინსტრუმენტები, ისევე როგორც ელექტრონულად ხმის მიცემისა და ელ-გამოკითხვის ინსტრუმენტები, უნდა განისაზღვროს მომხმარებლის ავტორიზაციის პროტოკოლის მკაცრი გამოყენებით, რათა მოხდეს მრავალჯერადი ხმის მიცემის თავიდან აცილება, რაც ზეგავლენასახდენს პეტიციის ვალიდურობაზე.

2.3.5. ელექტრონული პანელები (ePanels)

ელექტრონული პანელები, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ელ-ჩართულობის სხვა ინსტრუმენტები, როგორცაა სადისკუსიო ფორუმები, სათათბირო კენჭისყრის ინსტრუმენტები, ექსპერტებთან ონლაინ რეჟიმში გამართული ჩატი, ელ-პეტიციისა და ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტები, რათა მოხდეს კონკრეტულ დროს მონაწილეების თავმოყრა დებატებისთვის.



მონაწილეები, როგორც წესი, წინასწარ არიან შერჩეულნი, რაც იმას ნიშნავს, რომ დებატებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ განსახილველ საკითხში გათვინობიერებულ პირებს შეუძლიათ. ელ-პანელში მონაწილეობა იზომება დებატებში მომხმარებლების დასწრებით, რამაც შესაძლოა დაადასტუროს რომ პრობლემის გადაჭრისთვის გამართული პროცესი არის კარგად ორგანიზებული და უზრუნველყოფს მარტივად გასაგები ინფორმაციის გაზიარებას. ელ-პანელების ჩამოყალიბება დასაშვებია არა მხოლოდ ამა თუ იმ სფეროს ექსპერტების მიერ, არამედ, მოქალაქეების წარმომადგენლობითი ჯგუფის ან გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ.

2.3.6. ელექტრონულად ხმის მიცემა (eVoting)

ელექტრონულად ხმის მიცემაერთიანებს ხმის მიცემის რამდენიმე სახეობას, ელექტრონულად ხმის მიცემისა და ხმების ელექტრონულად დათვლის მეშვეობით. ელექტორატისთვის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემების გამოყენება უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და პირველადპერფორმანსის გამოყენებით განხორციელდა. წლების განმავლობაში, ელექტრონულად ხმის მიცემის სისტემაში



დამკვიდრდა ოპტიკური სკანირების ხმის მიცემის სისტემით სარგებლობა, რომლის დროსაც კომპიუტერის მეშვეობით ფიქსირდება ბიულეტენზე მოცემული ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანი.

ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებულმა ხმის მიცემის სისტემებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და რიგ ქვეყნებში, მათი გამოყენება სამთავრობო არჩევნებისა და რეფერენდუმებისთვის ხდება. ელექტრონულად ხმის მიცემის სისტემები ამარტივებენ და აჩქარებენ პროცესს, რომელიც მოქალაქეებისთვის შესაძლოა გარკვეულ ბარიერებს ქმნიდა მონაწილეობა მიეღოთ წარმომადგენლობით დემოკრატიაში. თუმცა, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემების გამოყენება დაკავშირებულია რისკებთან, რომელიც ეხება მომხმარებლის ვინაობის ავტორიზაციას, მრავალჯერადად ხმის მიცემას და არჩევნების გაყალბებას.

2.3.7. ელექტრონული გამოკითხვები (ePolls)

Online Poll
Answer the following question
Do you like our web site?
 Yes
 No
 I prefer the old one

ელექტრონული გამოკითხვა არის ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული მყისიერი ან მოკლე კვლევა, რომელიც ახდენს გარკვეულ საკითხზე საზოგადოებრივი მოსაზრებების შეგროვებას რესპონდენტების შემთხვევითი შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. ელექტრონული გამოკითხვა რესპონდენტისგან ითხოვს „კი“ ან „არა“ პასუხს, თუმცა ასევე შესაძლებელია მომხმარებელს ჰქონდეს ალტერნატიული ვარიანტებიდან ერთი სასურველი პასუხის ამორჩევის საშუალება. ელექტრონული გამოკითხვა ძირითადად ასრულებს პირველადი მოსაზრებების შეგროვების არაოფიციალური ინსტრუმენტის ფუნქციას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ოფიციალურ პროცესში დამატებითი ინფორმაციის სახით გამოიყენება.

სწრაფი გამოკითხვები, მათთვის დამახასიათებელი მყისიერი ბუნებისა და მცირედი დანახარჯების გამო, ქმნიან შედეგებს, რომლის გაგება და ანალიზი მარტივად შესაძლებელია. აღნიშნული ინსტრუმენტის ერთადერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს, ავტორიზაციის არ არსებობა, შესაბამისად ვერ ხერხდება ერთი და იგივე მომხმარებლის მხრიდან გამოკითხვაში მრავალჯერადი მონაწილეობის შეზღუდვა. აღსანიშნავია რომ ელექტრონული გამოკითხვა საშუალებას აძლევს რესპონდენტს ხმის მიცემიდან უმოკლეს პერიოდში ნახოს რეალურ დროში გამოვლენილი კვლევის შედეგები.

2.3.8. ელექტრონული საზოგადოებები (eCommunities)

ელ-ჩართულობის სისტემებში უახლეს ტენდენციას წარმოადგენს პორტალები, რაც ხელს უწყობს ელ-ჩართულობას საზოგადოების ფორმირების ინსტრუმენტებით. აღსანიშნავია სოციალური ქსელი, რაც ძალზედ პოპულარულია, განსაკუთრებით ახალგაზრდა მომხმარებლებს შორის. მომხმარებლები გამოხატავენ საკუთარ აზრს და კომუნიკაციაში ერთვებიან ელ-ჩართულობის სხვა სისტემების მკაცრი და ოფიციალური გარემოსგან განსხვავებული ფორმით. ასეთი ტიპის საზოგადოებები, ჯგუფები იქმნება საერთო ინტერესებისა და მოსაზრებების მქონე მომხმარებლების მიერ. ისინი ცდილობენ, ახალი მედიისა და სხვა მცირე მასშტაბის აპლიკაციების გამოყენებით, ამა თუ იმ საკითხის გარშემო განავრცონ დიალოგი.

ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ინსტრუმენტი, რომელიც ელექტრონული საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება არის სოციალური ქსელი Facebook-ი. აღნიშნული ქსელი მოიცავს სხვადასხვა თემებს და აერთიანებს უამრავ მომხმარებელს რითაც ქმნის ახალ კულტურას საზოგადოებასა და ელ-ჩართულობაში. ეს კულტურა წარმოაჩენს მოქალაქეების ძალას მაშინ, როდესაც ისინი ერთიანდებიან და სხვებსაც მოუწოდებენ საერთო მიზნის განხორციელებაში მონაწილეობისკენ. Facebook-ი არის ელექტრონული საზოგადოებების და სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაჩინო მაგალითი, რაც შედეგადად ერთი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული ცნებების ერთობლიობისგან, როგორცაა: ფასეულობები, ხედვა, მოსაზრებები, ფინანსური გაცვლა-გამოცვლა, მეგობრობა, სექსუალური ურთიერთობები, ნათესავური კავშირი, სიმულვილი, კონფლიქტი, ვაჭრობა და სხვ.

2.3.9. გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები (Decision Making Tools)

ელ-ჩართულობის ძირითადი მიზანი მოქალაქეების მხრიდან მონაწილეობის მიღება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალაუფლების მქონე პირების მხარდაჭერაა. ელ-ჩართულობის სხვა ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების შემუშავება და შესაბამისი თამაშების შექმნა, ჩართულობის ხელშესაწყობად უფრო ეფექტიანი, ხოლო მოქალაქეებისთვის უფრო ნაცნობი და სასიამოვნო აღმოჩნდა. გადაწყვეტილების მიღების თემაზე შექმნილი თამაშები საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარონ გრაფიკულ, ანიმაციურ გარემოში, სადაც ხდება საკითხის შესაბამისი ასპექტების ასახვა და სიმულაცია.

გადაწყვეტილების მიღების თამაშებს, საკუთარი მიზნებისთვის, შეუძლიათ სხვა კარგად ცნობილი და წარმატებული აპლიკაციების გამოყენება, როგორცაა პოპულარული ონლაინ თამაშები ან ბიზნეს ადმინისტრაციის ინსტრუმენტები. მაგალითად, თამაში SimCity, შესაძლოა სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდეს სივრცული დაგეგმარების საკითხის შესახებ დისკუსიაში. „FEED პროექტი“, რომელიც 2007 წლის ელ-ჩართულობის ფარგლებში დაფინანსდა, შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს SimCity-ის ფილოსოფიის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმ საკითხებზე, რაც ეხება სივრცულ დაგეგმარებასა და გარემოზე მოქმედ შედეგებს.

2.3.10. ვებ-მაუწყებლობის ინსტრუმენტები (Web-Casting Tools)

ვებ-მაუწყებლობის ინსტრუმენტები იყენებენ მედია ტექნოლოგიებს, რათა გაავრცელონ მედია ფაილები ინტერნეტში, რეალური დროის რეჟიმში ან მოთხოვნისამებრ. ვებ-მაუწყებლობა იყენებს სატრანსლაციო მედია ტექნოლოგიას, რათა ერთი წყაროდან მოპოვებული ესა თუ ის მასალა ონლაინ რეჟიმში გახადოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, რომელსაც კონკრეტული ინფორმაციის მოსმენა ან ყურება სურს. ელ-ჩართულობის თვალსაზრისით, ვებ-ტრანსლაციის ინსტრუმენტები,



უმეტესად, გამოიყენება ადგილობრივი, რეგიონალური ან ეროვნული საბჭოების შეხვედრების სამაუწყებლოდ. შედეგად, მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, იყენონ მეტად ინფორმირებულნი მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ისე, რომ არ გახდეს საჭირო ფიზიკური დასწრება შეხვედრაზე. თუმცა, ვებ-მაუწყებლობის ინსტრუმენტების მეშვეობით მომხმარებლებს არ ეძლევათ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, რადგან აღნიშნული ინსტრუმენტები არ გამოიყენება ვებ-კონფერენციის მიზნებისთვის.

2.3.11. ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტები (eConsultation Tools)

საჯარო სახელისუფლებო ორგანოებმა შესაძლოა გამოიყენონ ელ-ჩართულობის სხვადასხვა ინსტრუმენტი, რათა ინტერნეტის მეშვეობით შეიქმნას ელექტრონული კონსულტაციის გარემო და მოხდეს კონსულტაციის პროცესის სიმულაცია. ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტებია ფორუმები და ბლოგები, რომლებიც მოქალაქეთა ინფორმირებას უზრუნველყოფს რამოდენიმე გზით, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოების ჩართულობას საზოგადო ინტერესების შემცველი საკითხების დისკუსიაში.

2.4. ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად გამოყენებული ტექნოლოგიები

გარდა ელ-ჩართულობის ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს საზოგადოებრივ ჩართულობას, არსებობს ელ-ჩართულობის სისტემების დამხმარე რიგი ტექნოლოგიები, ინფორმაციის მიწოდებისა და მოპოვების ხელშეწყობის თვალსაზრისით. აღნიშნული ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები მოკლედ არის აღწერილი შემდგომ ქვეთავებში, შეჯამებულია ფუნქციონალურობა, რომელსაც ტექნოლოგიები ელ-ჩართულობის სისტემების მომხმარებლებს სთავაზობენ. ქვემოთ წარმოდგენილია, თუ როგორ ეხმარება ელ-ჩართულობის ინსტრუმენტები მოქალაქეებს იყვნენ მეტად ინფორმირებულნი და გადაწყვეტილების მიღების საერთო პროცესში კარგად ჩამოყალიბებული არგუმენტებით შეიტანონ წვლილი.

2.4.1. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Geographic Information Systems)



გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS) ახდენს ტექნოლოგიის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემების ინტეგრირებას, გეოგრაფიულად დამოწმებული ყველა სახის ინფორმაციის მისაღებად, სამართავად, გასაანალიზებლად და საჩვენებლად. ზოგადად, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების აპლიკაციები საშუალებას აძლევს მომხმარებელს შექმნას ინტერაქტიული შეკითხვები (მომხმარებლის მიერ შექმნილი საძიებელი), გააანალიზოს სივრცული ინფორმაცია, მოახდინოს მონაცემთა რედაქტირება, განიხილოს რუკები და წარადგინოს ყველა მოცემული

ოპერაციის შედეგები. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების პროგრამები იყოფა ქვემოთ მოყვანილ კატეგორიებად:

▶ სამუშაო მაგიდის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Desktop GIS) გამოიყენება გეოგრაფიული მონაცემების შესაქმნელად, დასარედაქტირებლად, სამართავად, გასაანალიზებლად და საჩვენებლად. რიგ შემთხვევებში ხდება მათი დაყოფა სამ ფუნქციონალურ კატეგორიად: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების დამთვალეირებელი (GIS Viewer), გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების რედაქტორი (GIS Editor) და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ანალიტიკოსი (GIS Analyst);

▶ სივრცული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (Spatial DBMS) გამოიყენება მონაცემების შესანახად. თუმცა რიგ შემთხვევებში ახორციელებენ ანალიზისა და მონაცემების მანიპულირების ფუნქციებს;

▶ ვებ-რუკების სერვერები (WebMap Servers) გამოიყენება ინტერნეტში რუკების გასავრცელებლად;

სერვერის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Server GIS) ძირითადად ახორციელებს იგივე ფუნქციებს, რასაც სამუშაო მაგიდის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Desktop GIS), თუმცა საშუალებას იძლევა, აღნიშნულ ფუნქციასთან წვდომა განხორციელდეს ქსელის მეშვეობით (ე.წ. გეოპროცესინგი);

► ვებ-გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების პროგრამა-კლიენტები (WebGIS Clients) გამოიყენებამონაცემთა საჩვენებლად, ინტერნეტითა თუ ინტრანეტით, სერვერის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებისგან (Server GIS) ანალიზისა და შეკითხვების ფუნქციების მოსაპოვებლად. ჩვეულებისამებრ, არსებობს განსხვავება თხელ და სქელ პროგრამა-კლიენტებს (Thin and Thick client) შორის. თხელი პროგრამა-კლიენტები (მაგ. ვებ-ბრაუზერი, რომელიც Google Map-ის საჩვენებლად გამოიყენება) უზრუნველყოფს მხოლოდ გამოსახულებისა და შეკითხვის ფუნქციას. სქელი პროგრამა-კლიენტები (მაგ., Google Earth ან Desktop GIS) ხშირად უზრუნველყოფს დამატებითი ინსტრუმენტების არსებობას მონაცემთა დასარედაქტირებლად, გასანალიზებლად და საჩვენებლად;

► მობილური გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (Mobile GIS) გამოიყენება ამა თუ იმ სფეროში მონაცემთა შესაგროვებლად.

ელ-ჩართულობის თვალსაზრისით, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) ინსტრუმენტებით სარგებლობა, ხშირად, სივრცული დაგეგმარებისთვის ხორციელდება, სადაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას რუკების კანონებთან, დოკუმენტებთან, დირექტივებთან და ინიციატივებთან ურთიერთდაკავშირება კონფლიქტების მოსაგვარებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშესაწყობად.

2.4.2. პოდკასტები (Podcasts)

პოდკასტი არის აუდიო ან ვიდეო ციფრული მედია ფაილების სერია, რომელთა გავრცელებაც ხდება ინტერნეტით, სინდიკატური ჩამოტვირთვის მეშვეობით, პორტატულ მედია-ფლეერებსა და პერსონალურ კომპიუტერებში. მიუხედავად იმისა, რომ იგივე შინაარსის მქონე მასალა შესაძლოა, ხელმისაწვდომი იყოს პირდაპირი ჩამოტვირთვით ან მაუწყებლობით, პოდკასტი სხვა ციფრული მედია ფორმატებისგან იმით განსხვავდება, რომ შესაძლებელია მისი სინდიკაცია,



ხელმომწერებში გაერთიანება ან ავტომატურად ჩამოტვირთვა, ახალი მასალა განთავსებისთანავე. ტერმინი პოდკასტი, ისევე, როგორც ტერმინი მაუწყებლობა, შესაძლოა ეხებოდეს უშუალოდ მასალის შინაარსს ან მეთოდს, რომლის მეშვეობითაც მოხდა მისი სინდიკაცია. პოდკასტის ძირითად ამოცანას ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუ მომხმარებელს რამდენიმე პოდკასტის ჩამოტვირთვა სურს, საჭიროა ინტერნეტის მაღალი სიჩქარე და შესაბამისი მოწყობილობა, რომელსაც აღნიშნული მასალის გაშვების მხარდაჭერა ექნება, მაგალითად iPod.

2.4.3. ონლაინ გამოკითხვები (Online Surveys)

ელექტრონული გამოკითხვა განსაკუთრებით ნაყოფიერია, როდესაც მისი განხორციელება ხდება ელ-კონსულტაციის პროცედურის პარალელურად. ელ-გამოკითხვა, შედგება მოკლე კითხვებისგან, რომლებზე პასუხსაც მომხმარებელი გასცემს შემოთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთის მონიშვნით ან კომბინირებული სიდიდან სასურველი ვარიანტების ამორჩევით, იმ მასალაზე დაყრდნობით, რაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციის დროს საჯარო ხელისუფლების მიერ იქნა მიწოდებული. გამოკითხვები ხორციელდება დახურული შეკითხვების, თანმიმდევრული პასუხებისა ან ღია შეკითხვების სახით.

2.4.4. არგუმენტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები (Argument Visualization Tools)

არგუმენტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები ხელს უწყობს არგუმენტების ჩამოყალიბებასა და ვიზუალიზაციას სხვადასხვა წარმომადგენლობით ფორმატში, მაგ.: გრაფიკები და ცხრილები. როგორც წესი, ეს ინსტრუმენტები აწარმოებენ „უჯრებისა და ისრებისგან“ შემდგარ დიაგრამებს, რომლებშიც დასკვნები განცხადებებზე არის ფორმულირებული. ისინი წარმოდგენილია კვანძებით, რომელთა შეერთებაც დასკვნების ჩვენების მიზნით ხაზების გამოყენებით არის შესაძლებელი. მიმართულების მისათითებლად გამოიყენება ისრები.

2.4.5. სიახლეთა ჯგუფები (Newsgroups)

სიახლეთა ჯგუფები, ელ-ჩართულობის სისტემაში არსებული საცავებია, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ადგილზე მყოფი მომხმარებლების მიერ გაგზავნილი შეტყობინებებისათვის. ტერმინი შესაძლოა, ზოგიერთისთვის დამახინველი იყოს, ვინაიდან, როგორც წესი სიახლეთა ჯგუფში იგულისხმება სადისკუსიო ჯგუფი. სიახლეთა ჯგუფები ტექნიკურად განსხვავდებიან მსოფლიო ქსელში არსებული ფორუმებისგან, მაგრამ ფუნქციონალურად გვანან მათ. სიახლეთა ჯგუფების წასაკითხად გამოიყენება სიახლეთა წამკითხველი (Newsreader) პროგრამა.

2.4.6. ადრესატთა სიები (Mailing List)

ადრესატთა სიები წარმოადგენს სახელებისა და საფოსტო მისამართების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება ცალკეული პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ, მრავალ ადრესატთან გარკვეული მასალის დასაგზავნად. ტერმინი ხშირად მოიცავს ხელმოწერებსაც, რომელთა ჯგუფსაც უწოდებენ „ადრესატების სიას“ ან უბრალოდ „სიას“. ადრესატების სია წარმოადგენს საერთო საკითხით დაინტერესებული ადამიანების ელექტრონული მისამართების ჩამონათვალს, რომლებიც ერთი საშუალო ჯგუფის წევრები არიან ან ერთად სწავლობენ. როდესაც სიის რომელიმე წევრი აგზავნის შეტყობინებას ჯგუფის სპეციალურ მისამართზე, ელექტრონული ფოსტა ამ სიის ყველა წევრს ეგზავნება. ვებ-დისკუსიებთან შედარებით, ადრესატების სიის ძირითადი პრივილეგია ისაა, რომ ახალი შეტყობინება მყისიერად იგზავნება მონაწილეთა საფოსტო ყუთებში.



2.4.7. ვიკი-ბმულები (Wikis)

ვიკი-ბმულები არის ვებ-აპლიკაციები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს საშუალება ეძლევათ ახალ სხვა მომხმარებლის მიერ განთავსებული ინფორმაცია, დაარედაქტირონ, დაამატონ დამატებითი მასალა ან გააკეთონ კომენტარი. ვიკი-ბმულები წარმოადგენენ ერთობლივ პლატფორმებს, სადაც საერთო ინტერესის მქონე მომხმარებლები საუკეთესო შედეგის მისაღწევად თანამშრომლობენ. მაგ.: Wikipedia არის საშუალო სივრცე (კერძოდ, ერთობლივი ენციკლოპედია), სადაც მომხმარებლები ერთობლივად მუშაობენ მაღალი ხარისხის ინფორმაციის შეთავაზებისა და კონკრეტული ვებგვერდის ვალიდურობის შენარჩუნებისთვის.

ვიკი-ბმულების ძირითადი მახასიათებელი მოხერხებულობა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განსაკუთრებული ცოდნის აუცილებლობის არ არსებობაა, მომხმარებლებისათვის თანმშრომლობის საშუალების მიცემის მიზნით. გარდა ამისა, ვიკი-ბმულები ეტაპობრივად განხორციელებადი აპლიკაციებია, რომლებიც დაფუძნებულია მომხმარებელთა თანამშრომლობაზე უწყვეტი პროცესის განმავლობაში. ვიკი-ბმულების უმეტესობა გთავაზობს სათაურის ძიების ფუნქციას, თუმცა, რიგ შემთხვევებში სრული ტექსტის მოძებნაც არის შესაძლებელი. ალტერნატიული ვარიანტის სახით, დასაშვებია, ვიკი-ბმულებზე გარე საძიებო სისტემების (მაგ., Google) გამოყენებაც, უფრო ზუსტი შედეგების მიღების მიზნით.

2.4.8. საძიებო სისტემები (Search Engines)



საძიებო სისტემები არის ონლაინ აპლიკაციები, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მის მიერ შერჩეული საძიებო, საკვანძო სიტყვებისა და ინტერესების შესაბამისად მოიძიოს ინფორმაცია. საძიებო სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან საძიებო ფუნქციებით, ძიების დეტალებით, ძეხნის სპექტრითა და მოპოვებული შედეგების ხარისხით.

არსებობს სისტემები, რომლებიც სასურველ შედეგს მთელ ინტერნეტ სივრცეში ეძებენ, მაგ.: Google და Yahoo. ასევე ფუნქციონირებს სისტემები, რომლებიც უფრო კონკრეტულად მოიპოვებენ ინფორმაციას გარკვეული საცავებიდან ან ვებ-გვერდებიდან. საძიებო სისტემები შესაძლოა იყოს დინამიური ან სტატიკური.

სტატიკური სისტემა მომხმარებელს სთავაზობს ეძებოს მონაცემი საინფორმაციო საცავებში, მონაცემთა ბაზებში და საინფორმაციო ბანკებში, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოიცავენ, მაგ.: მსჯელობის პროცესში განხილული გარემოს დადებითი საკითხები.

დინამიური სისტემები იყენებენ მომხმარებლის მიერ განსაზღვრულ საკვანძო სიტყვებს, რათა მოიძიონ და წარადგინონ მთელი ვებ-სივრციდან მოპოვებული ინფორმაცია. აღნიშნული მუდმივად განახლებადია და მომხმარებელს მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ უკანასკნელი ცნობებით ამარაგებს. ძიების შედეგებს შესაძლოა წარმოადგენდეს დოკუმენტაცია, სურათები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, სტატიები, ვებ-გვერდები და ა.შ. მათი წარდგენა მომხმარებლისთვის ხდება სტრუქტურირებული ფორმით ხდება, საძიებო სისტემის მიერ გამოყენებული კრიტერიუმისა და ალგორითმის შესაბამისად.

2.4.9. ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები (eNewsletters)

საინფორმაციო ბიულეტენი წარმოადგენს ერთი თემის შესახებ არსებულ პუბლიკაციას, რომელიც ეგზავნება მიზნობრივი ჯგუფის წევრებს და ძირითადად გამოიყენება სარეკლამო და მარკეტინგული მიზნებისთვის. ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები ეგზავნებათ ადრესატების სიის წევრებს ან ვრცელდება ვებ-გვერდების მეშვეობით. ეს გზა ითვლება ყველაზე ეფექტური მიდგომად იმ ადამიანების ინფორმირებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ კონკრეტული საკითხი, რაც დაადასტურეს ელექტრონული ბიულეტენის მიღების აპლიკაციაში რეგისტრაციით.

2.4.10. ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავების ინსტრუმენტები (Natural Language Processing Tools)

ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავება (NLP) წარმოადგენს კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგს, რომელიც განიხილავს კომპიუტერებსა და ადამიანურ (ბუნებრივ) ენებს შორის ურთიერთქმედებას. ბუნებრივი ენის გენერაციის სისტემას ადამიანისთვის გასაგებ ენაზე გადაჰყავს კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია. ბუნებრივი ენის წამკითხველი სისტემები ნიმუშებს გარდაქმნიან ისეთ ფორმატად, რაც კომპიუტერული პროგრამებისთვის ამარტივებს მანიპულირებას.

2.5. ელ-ჩართულობის სფეროებსა და ინსტრუმენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირი

წინა პუნქტებში განხილულ იქნა ელ-ჩართულობის სფეროების უმეტესობა, შესაბამისი ხელშემწყობი ინსტრუმენტების თანხლებით. პრაქტიკაში დამტკიცდა, რომ ელ-ჩართულობის კონკრეტული დარგებისთვის, უფრო ხშირად გამოიყენება რიგი ინსტრუმენტები, მეტი ეფექტიანობისა და ეფექტურობის გამო. ასეთ დაკვირვებებზე დაყრდნობით, შემდგომში მოცემული ცხრილი ასახავს ელ-ჩართულობის სფეროებსა და ინსტრუმენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს. „√“ ნიშანი აჩვენებს მჭიდრო კავშირს ელ-ჩართულობის ინსტრუმენტს, დამხმარე ინსტრუმენტსა და კონკრეტულ დარგს შორის.

ცხრილი № 2: ელ-ჩართულობის სფეროები

ელ-ჩართულობის სფეროები												
კონსულტაცია	გამიწებს	გამოცხება	ხმის მიცემა	კამანების წარმოება	წინასწარმწინი პოლიტიკური კამპანია	პუბლიკის წარდგენა	გადამწეობის მიღება	მომსახურების მიწოდება	სერვისული დაგეგმვა	ინფორმაციული უზრუნველყოფა	მედიაცია	საზოგადოების ჩამოყალიბება
ჩატის ოთახები				✓	✓							✓
ხლოვები	✓	✓		✓	✓				✓	✓	✓	✓
ფორუმები	✓	✓			✓				✓		✓	✓
ელ-პეტიციები				✓		✓		✓				
ელ-პანელუები	✓											
ელ-ხმის მიცემა			✓					✓				
ელ-გამოცხებები	✓	✓		✓	✓			✓	✓	✓	✓	✓
ელ-საზოგადოებები						✓						
გადამწეობის მიღების ინსტრუმენტები	✓	✓	✓		✓		✓		✓		✓	✓
ვებ მკუთხელობა	✓		✓							✓		
ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტები	✓											

ელ-ჩართულობის ინსტრუმენტები

ელ-გარეულობის სფეროები

	კონსულტაცია	გამოღვა	გამოკითხვა	ხმის მიცემა	კამკაროების ჩარიხება	წინასწარი რეგულირება	პეტეისის ჩარიხება	ცადაწყვეტილების მიღება	მომსახურების მიწოდება	სივრცული დამკვეთების	ინფორმაციული უზრუნველყოფა	მედიაცია	საზოგადოებრივი ჩართულობა
გეოგრაფიული საინფორმაცია სისტემა (GIS)	✓	✓								✓	✓		
პოლიტიკა											✓		
კვლევები	✓		✓		✓	✓				✓		✓	✓
არეგულარული ვიზუალიზაცია	✓	✓						✓			✓		
სახელმწიფო აკადემია													
ადრესატთა სერვისი													
ვიდეო-პრეზენტაცია (VLS)	✓							✓			✓		
სამიხილავი სისტემები											✓		
ელექტრონული საინფორმაციო სისტემები					✓	✓					✓		
ბუნებრივი (დაბნობის) რისკის კომპლექსური დამუშავება (ALP)	✓	✓											

დამხმარე ტექნოლოგიები

3. ელექტრონული პეტიციების სახელმძღვანელო

3.1. ზოგადი კონტექსტი და განმარტება

პეტიციების წარდგენა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება და შეხედულება მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ეს არის მოქალაქეების მიერ ხელმოწერილი ოფიციალური მოთხოვნა ზემდგომი ორგანოსადმი. მისი წარდგენა ნებადართულია ჯერ კიდევ საქსონური დროიდან.



გასული წლების განმავლობაში, პეტიციის კონცეფცია გაფართოვდა და მისი წარდგენა უკვე ელექტრონული ფორმითაა შესაძლებელი. ელექტრონული პეტიცია არის პეტიციის სახეობა, რომელიც მხარდამჭერებს ელექტრონული გზით აგროვებს.

ელ-პეტიციის მომსახურების ფორმა ქმნის კიდევ ერთ მნიშვნელოვან არხს პეტიციის განხორციელების პროცესისთვის და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მხარდაჭერა გამოხატონ და კომენტარები გააკეთონ ონლაინ რეჟიმში. ყოველივე ეს კი ქმნის ელ-პეტიციების ონლაინ ჩანაწერებს და უზრუნველყოფს პეტიციებთან, მათ შორის ქალაქზე წარმოდგენილ პეტიციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ცენტრის ჩამოყალიბებას.

ელ-პეტიციებიძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი საშუალებას აძლევენ განმცხადებლებს, წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია თუ მასალა, როგორცაა: მოხსენებები, სტატისტიკა, სხვა ვებ-გვერდების ბმულები, მულტიმედიური მასალა და ა.შ.

გარდა ამისა, ელ-პეტიცია ხელს უწყობს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის წარმოებას და ეხმარება პეტიციაზე ხელმოწერითა და მისი მიღებით დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ელ-პეტიციების ვებგვერდი ამა თუ იმ საბჭოს ან მოქალაქეს აჩვენებს, თუ როგორ ხდება პეტიციების პროცესული დამუშავება. გამჭვირვალე ვებგვერდს, რომელიც წარმოაჩენს როგორ ახდენს პეტიციები ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე, ესაჭიროება ჩამოყალიბებული პროცესი, რაც ასახავს რა გზით მოხდება პასუხის გაცემა გადაწყვეტილების მიმღების (მაგ., საკრებულო) მიერ და რამდენად სწრაფად მიიღებს მოქალაქე აღნიშნულ პასუხს.

მეორე მხრივ, ელ-პეტიციები თანმხლები ფორუმებით, საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებ მხარეს უფრო დეტალურად ჩაწვდეს ამა თუ იმ საკითხს, რადგან დისკუსია შესაძლოა მოიცავდეს კომენტარებს იმ ადამიანებისგან, ვინც არ ეთანხმება ელ-პეტიციას ან სურს დამატებითი პუნქტების ხაზგასმა. უფრო მეტიც, ელ-პეტიციის წარდგენის შემდეგ მისი პროგრესის სიღრმადე ზრდის გადაწყვეტილების მიმღები პირის პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას, რაშიც ასევე იგულისხმება რეაგირების პოტენციური ნაკლებობაც. შესაბამისად, ელ-პეტიცია ელექტრონული დემოკრატიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ელ-პეტიცია შესაძლოა, იყოს ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის დია და ფართო მასშტაბურ დიალოგს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ასევე, ელ-პეტიციები, ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ლისაზონის ხელშეკრულების შესაბამისად.

მოქალაქეების ძირითადი მოლოდინები ელ-პეტიციებთან დაკავშირებით არის პროცედურის გამჭვირვალობა, ხელმოწერის შემდეგ, ვებგვერდზე შესაბამისი უკუკავშირის არსებობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დადებითი შედეგის მიღება. ელ-პეტიციების მთავარი უპირატესობები წარმოადგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ელ-პეტიციების მთავარი უპირატესობები	
ქალაქზე დაწერილ პეტიციასთან შედარებით, ელ-პეტიცია უფრო მარტივი და მოსახერხებელია.	ტრადიციულთან შედარებით, ელ-პეტიცია კამპანიის წევრებს მეტ საშუალებას აძლევს ხმა მიაწვდინონ ფართო აუდიტორიას. შესაძლოა, თითოეული ელ-პეტიციისთვის შეიქმნას ცალკე სადისკუსიო ფორუმი, სადაც მოქალაქეები გამოხატავენ მოსაზრებებს და შეხედულებებს მათთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში.
ელ-პეტიცია საშუალებას აძლევს შესაბამის უფლებამოსილ პირებს/ორგანოებს, გადახედონ არსებულ კონსტიტუციურ წესებსა და პროცესებს.	ელ-პეტიციის არსებობით მოქალაქეებს უფრო მარტივად შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. პეტიციის წარდგენის ტრადიციული მექანიზმები ხშირად არ აჩვენებს თუ რა შედეგი გამოიღო მოქალაქეების მხარდაჭერამ. ელ-პეტიციის შემთხვევაში, მისი წარდგენის შემდეგ, შესაძლებელია, პეტიციის პროგრესის შესახებ უკუკავშირის უზრუნველყოფა. ამგვარი ტიპის სიცხადებურობის გადაწყვეტილების მიმღები პირებისა თუ პოლიტიკური თანმდებობის პირების ანგარიშვალდებულებას.
ქალაქზე დაწერილი პეტიციების შემთხვევაში, ადრესატები იღებენ მხოლოდ დასახელებას და შეგროვილი ხელმოწერების რაოდენობას. ელ-პეტიციების შემთხვევაში კი არსებობს სრული მოხსენების შექმნის შესაძლებლობა, რაც საკითხის დეტალებში გარკვევის საშუალებას იძლევა.	თუკი ელ-პეტიციის მომსახურებაში კომენტარების განთავსება და სხვა ადამიანების მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებების წაკითხვა ნებადართულია, ონლაინ გარემო, ხელს უწყობს დებატების გამართვას.
ელ-პეტიციის მოქმედების პერიოდში, მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ინფორმაციული მხარდაჭერა პეტიციის პოპულარიზაციის მიზნით, თუ როგორ გაავრცელონ ელ-პეტიცია და დაუკავშირონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ან პოლიტიკურ თანმდებობის პირებს.	ელ-პეტიციის მომსახურება თანმხლები ფორუმის მეშვეობით, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ან პოლიტიკის შემქმნელებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვიონ ამა თუ იმ საკითხში, რადგან დისკუსია, შესაძლოა მოიცავდეს კომენტარებს იმ ადამიანებისგან, ვინც არ ეთანხმება ელ-პეტიციას ან სურს დამატებითი პუნქტების ხაზგასმა.
ელ-პეტიციას შეუძლია, გაზარდოს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის მიღების ინტერესი (განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში).	პოლიტიკის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ ელ-პეტიციების მონაცემთა ბაზები გამოიყენონ საკუთარი პროგრესის გასაკონტროლებლად. ამგვარად, მათ ექმნებათ უფრო ნათელი წარმოდგენა საზოგადოებრივი შეხედულებების შესახებ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. მათ, ასევე, შეუძლიათ, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება ელ-პეტიციის დაფინანსებით ან მხარდაჭერით.

3.2. ელ-პეტიციის პლატფორმების ძირითადი მახასიათებლები

ევროკავშირში არსებული რამოდენიმე საუკეთესო მაგალითის განხილვამ ცხადყო, რომ არსებობს რამოდენიმე მნიშვნელოვანი თვისება და ფუნქცია, რომელთა ჩართვაც შესაძლებელია ელ-პეტიციების მომსახურებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საერთო თვისებებისა და ფუნქციების ჩამონათვალი.

ცხრილი#4: ელ-პეტიციის პლატფორმების ძირითადი თვისებები და ფუნქციები

ელ-პეტიციების პლატფორმების ძირითადი თვისებები და ფუნქციები	
სისტემაში ინტეგრირებული სამუშაო ნაკადი, რომელიც ელ-პეტიციის პროგრესს განვითარების ყველა ეტაპზე აკონტროლებს.	როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ ელ-პეტიციების მართვა, ერთი ადმინისტრაციული ინტერფეისის ფარგლებში.
მიმდინარე, დასრულებული პეტიციების ჩამონათვალი.	ერთი და იგივე IP მისამართიდან ორჯერ ან მრავალჯერ გამოყენებული ხელმოწერების შემოწმება.
პირობები ონლაინ რეჟიმში პეტიციების წარდგენის, მხარდაჭერის და მასზე კომენტარის გაკეთების მსურველთათვის. თითოეულ ელ-პეტიციაზე არსებული სადისკუსიო ფორუმი.	შეურაცხმყოფელი ან აშკარად ყალბი ხელმოწერების შემოწმება.
ელ-პეტიციებისთვის დამხმარე ინფორმაციის უზრუნველყოფა (დოკუმენტაცია, ბმულები, პრეზენტაციები, ვიდეო ჩანაწერები და სხვ.).	ელ-პეტიციების დაარქივება.
ელ-პეტიციის დახურვის შემდეგ, მომხმარებლებისთვის პროცედურის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიწოდება.	სტატისტიკის წარმოება ფაილების ჟურნალის ანალიზზე დაყრდნობით.
პოპულარიზაციის ფუნქციები (ფუნქცია „უთხარი მეგობარს“, საინფორმაციო ბიულეტენები, დარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის შეტყობინების გაგზავნის მომსახურება ახალი ელ-პეტიციის გამოქვეყნებისას).	ცალკეული ელ-პეტიციებისთვის ანგარიშების წარმოება.
შეფასების კითხვარი ელ-პეტიციაზე ხელმოწერათათვის.	ელ-პეტიციის მხარდამჭერთათვის ავტომატური ელექტრონული ფოსტის გაგზავნა მისი შედეგების შესახებ.

3.3. ელ-პეტიციის საუკეთესო მაგალითები

ქვემოთ წარმოდგენილია ელ-პეტიციასთან დაკავშირებული, მსოფლიო მასშტაბით არსებული, ყველაზე მნიშვნელოვანი და საუკეთესო გამოცდილება და მაგალითები.

3.3.1. შოტლანდიის პარლამენტის ელ-პეტიციის წარმომდგენი

ორგანიზაციის აღწერა

შოტლანდიის პარლამენტი დაარსდა 1999 წელს, ძალაუფლების გაზიარების, ანგარიშვალდებულების, გახსნილობის, ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის პრინციპებზე დაყრდნობით. აღნიშნული ფაქტი, მოხდა მას მერე, რაც ვესტმინსტერის პარლამენტმა ლონდონში ძალაუფლება გადასცა შოტლანდიის ახალ პარლამენტს, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ელ-პეტიციების ამოცანა

შოტლანდიის პარლამენტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემდა ადამიანთა ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ პროცესში და ზეგავლენა მოეხდინათ პარლამენტის დღის წესრიგზე. ყოველივე ამის განხორციელება მოხდანაპირის უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო ტელედემოკრატიის ცენტრთან პარტნიორობით, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ელ-პეტიციის სისტემა. საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობის და ელ-პეტიციის წარმომდგენი სისტემის სწორი და პერსპექტიული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, შოტლანდიის პარლამენტში ჩამოყალიბდა საჯარო პეტიციების კომიტეტი (PPC).

ელ-პეტიციის წარმოდგენის პროცესი

საჯარო პეტიციების კომიტეტი (PPC) ვებგვერდზე ათავსებს მოქმედ ელ-პეტიციას განსაზღვრული დროის განმავლობაში (ჩვეულებისამებრ, 4-დან 6 კვირამდე), რომლის დროსაც პეტიციის ავტორებს საშუალება აქვთ ფართო საზოგადოება მოიზიდონ. შოტლანდიის აღნიშნულ მიდგომას არ გააჩნია ხელმოწერების საჭირო მინიმალური რაოდენობა ელ-პეტიციის ლეგიტიმურობის დასადგენად. ახალი პეტიციის შექმნას თან სდევს სტანდარტული ფორმის შევსება. ელ-პეტიციის შექმნა ან მასზე ხელმოწერა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს. თითოეულ აქტიურ (მიმდინარე) ელ-პეტიციას აქვს საკუთარი ფორუმი, სადაც ხალხს შეუძლია წამოჭრილი საკითხის განხილვა. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, საჯარო პეტიციების კომიტეტის (PPC) მიერ ხდება პეტიციის ოფიციალური წარდგენა განსახილველად.

საჯარო პეტიციების კომიტეტი (PPC) ადასტურებს პეტიციის ვალიდურობას და წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. საჯარო პეტიციების კომიტეტი (PPC) უზრუნველყოფს ხელმოწერა ინფორმირებულობას, პარლამენტის მიერ პეტიციის განხილვის ყველა ეტაპის შესახებ, მუდმივად განახლებადი ვებგვერდის მეშვეობით. ამით სრულდება პეტიციების წარდგენის პროცესი.

დასკვნები

შოტლანდიის პარლამენტი ელ-ჩართულობის დარგში მსოფლიოში აღიარებული ლიდერია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2009 წლის კვლევის თანახმად, „მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას გამოუყენებია ელექტრონული პეტიციის ტექნოლოგია, ისეთივე დონეზე, როგორც ეს შეძლო შოტლანდიის პარლამენტმა“. ელ-პეტიციების სისტემა ოფიციალურად 2004 წლის თებერვალში ამოქმედდა. თორმეტი თვის შემდეგ, სტატისტიკური მონაცემებით აღირიცხა 20 812 ხელმოწერა და 639 კომენტარი 45 ელ-პეტიციაზე, რაც მის წარმატებულ ფუნქციონირებაზე მიუთითებს. საჯარო პეტიციების კომიტეტის (PPC) თანახმად, მოქალაქეები მოხარული არიან იმ შანსით, რომელიც მათ აქტიური მონაწილეობისთვის მიეცათ.

ელ-პეტიციის სისტემების ეროვნულ დონეზე წარმატებით განხორციელებამ სტიმული მისცა ინგლისში არსებულ ორ სახელისუფლებო ორგანოს, გამოყენებინათ ელ-პეტიციების სისტემა ადგილობრივ საკითხებთან მიმართებაში (ესენია:სამეფო დაბა კინგსტონი ტემზაზე და ბრისტოლის საკრებულო) დაასევე გერმანიაში ეროვნულ დონეზე.

3.3.2. ბრისტოლის ელ-პეტიციის წარმომდგენი

ორგანიზაციის აღწერა

შოტლანდიის პარლამენტის მიერ ეროვნულ დონეზე ელ-პეტიციის წარმატებული განხორციელება საფუძვლად დაედო სისტემის ხელახალ შემუშავებას, ინგლისში არსებული ორი ადგილობრივი ხელისუფლების (ბრისტოლი და კინგსტონი) კონკრეტული საჭიროებებისთვის. პროექტს უმღვევოდა კორპორაციული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ელ-პეტიციის სისტემის გამართულ მუშაობაზე იყო პასუხისმგებელი. ბრისტოლის საკრებულოს კორპორაციული საკონსულტაციო ჯგუფი ხელმძღვანელობს ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას ძველი ტრადიციით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის ინოვაციური გზების განვითარებისთვის. 2004 წლიდან დაინერგა ელ-დემოკრატიის ძირითადი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი მონაწილეობის გააქტიურებას.

ელ-პეტიციის ამოცანა

ბრისტოლის საკონსულტაციო კერძო კომპანიასთან და ნაპიერის უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო ტელედემოკრატიის ცენტრთან (ITC) ერთად, შეიმუშავა შოტლანდიის პარლამენტის სისტემის მსგავსი ელ-პეტიციის ინსტრუმენტი, რომელიც მორგებულია ადგილობრივ მთავრობაზე. ბრისტოლის საკრებულო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ელ-პეტიციები წარმოადგენს ელ-დემოკრატიის ეფექტიან ინსტრუმენტებს, რომლებიც მთელ რიგ ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ როგორც მოქალაქეებს, ისე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ელ-პეტიციის წარმოდგენის პროცესი

ელ-პეტიციის შემუშავების შემდგომ, სავალდებულო ხდება მოქალაქის დარეგისტრირება მომხმარებლად. რეგისტრაციის პროცესისთვის არსებობს ფიქსირებული შესავსები ფორმა, რომელიც მოიცავს სრულ სახელს, ელექტრონული ფოსტის მისამართს და საფოსტო ინდექსს. პეტიციის მთავარი წარმომდგენი განსაზღვრავს როგორც ხელმოწერების შეგროვების საბოლოო თარიღს ისევე, პეტიციის დახურვის თარიღს. შემოსული ხელმოწერების რაოდენობაზე არ არსებობს დადგენილი ლიმიტი, თუმცა, ბრისტოლის შემთხვევაში, ქვედა ზღვარი განისაზღვრება მინიმუმ ათი ხმით. ბრისტორლში მცხოვრებთათვის, პეტიციაზე ხელმოწერის შემთხვევაში არ მოქმედებს ასაკობრივი შეზღუდვები. გარკვეულ შემთხვევებში, სხვა მოქალაქეებსაც ეძლევათ უფლება მონაწილეობა მიიღონ ხელმოწერის პროცესში, თუ მათ ეხებათ კონკრეტული საკითხი.

პროცესის დასრულების შემდეგ, ხელმოწერები და კომენტარები ეგზავნება მთავარ წარმომდგენს, რომელიც პეტიციის ფორმალურ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია. შესაძლოა, იგი მიწვეულ იქნას საბჭოს წინაშე პეტიციის წარმოსადგენად, დოკუმენტის წარმოდგენა ასევე დასაშვებია მისი სახელით საბჭოს წევრის მიერ. როგორც კი პეტიცია ჩაითვლება, გაეზავნება შესაბამის მოხელეს ან საბჭოს დეპარტამენტს, ხოლო ვებგვერდზე განთავსდება შესაბამისი უკუკავშირი. ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, ელ-პეტიციის პარალელურად ტრადიციული ტიპის პეტიცია იქნას წარმოდგენილი.

დასკვნები

2004 წლის სექტემბრიდან 2007 წლის აპრილამდე ბრისტოლის საბჭომ მიიღო 67 ელ-პეტიცია 630 კომენტარითა და 27000 ხელმოწერით. განმცხადებლების უმეტესობამ, ტრადიციულად ქალაქში დაწერილ პეტიციებთან შედარებით, ელ-პეტიციებს მიანიჭა უპირატესობა. განახლებულ სისტემას, რომელიც 2008 წლის იანვარში გაეშვა, უკვე 800 ხელმოწერა და 5 ახალი პეტიცია აქვს. აღნიშნული მეტყველებს ბრისტოლის საბჭოს ელექტრონული პეტიციის მხარდამჭერ წარმატებულ პოლიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიულ პროცესებში ხალხის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას. ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, შოტლანდიის შემდეგ, ელექტრონული პეტიციის სისტემა პირველად დიდი ბრიტანეთში, ბრისტოლსა და კინგსტონში განხორციელდა.

3.3.3. #10 ელ-პეტიციის მომსახურება

ორგანიზაციის აღწერა

2006 წლის ნოემბერში, დაუნინგის ქუჩის #10-ში, საჯარო პეტიციების წარდგენის დიდი ხნის დამკვიდრებული ტრადიციების შემდეგ, ელ-პეტიციის ინიციატივა პრემიერ მინისტრის აპარატმა წამოიწყო. ეს ტრადიცია მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ პრემიერ მინისტრთან და დაუკავშირდნენ ფართო საზოგადოებას, ასევე მოახდინონ საკუთარი შეხედულებების, საჩივრებისა ან წინადადებების შეთავაზება ხელისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ელ-პეტიციის ამოცანა

ელ-პეტიციის განხორციელების პროცესი უზრუნველყოფს მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ორმხრივ ურთიერთკავშირს. „დაუნინგ სტრიტის“ პარტნიორი იყო არაპარტიული, საქველმოქმედო ორგანიზაცია “ჩემისაზოგადოება” (mySociety), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისტემის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. მოქალაქეებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და კამპანიის ჯგუფებს შეუძლიათ, „დაუნინგ სტრიტის“ ვებგვერდზე შექმნან ელ-პეტიციები და ამით ნებისმიერ ადამიანს მისცენ პეტიციის მხარდაჭერისა და უშუალოდ პრემიერ მინისტრთან დაკავშირების საშუალება. ამგვარად, მთავრობას აქვს შესაძლებლობა, არა მხოლოდ მოაგვაროს მოქალაქეების პრობლემები, არამედ, ასევე, მოახდინოს საკუთარი პოლიტიკის განმტკიცება და მხარდაჭერა. მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მთელი მოსახლეობა და უფრო მრავალრიცხოვანია ვიდრე ელექტორატი, ვინაიდან პეტიციის წარდგენის პროცესში არ მოქმედებს ასაკობრივი შეზღუდვები.

ელ-პეტიციის წარდგენის პროცესი

პეტიციის მიმდინარეობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს მთავარი განმცხადებელი, თუმცა, ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს. გარდა ამისა, არსებობს ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა, რაც პეტიციის წარდგენისთვისაა საჭირო (200 ან მეტი ხელმოწერა). ელ-პეტიციის შექმნამდე, განმცხადებელს მოეთხოვება, შეამოწმოს, ადრეც არსებობდა თუ არა მსგავს საკითხთან დაკავშირებული პეტიცია, რათა თავიდან იქნას აცილებული დუბლირება ან დამთხვევა. პეტიციის შექმნის შემდეგ, მისი ვებგვერდზე განთავსება მტკიცდება ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

პეტიციის დახურულად გამოცხადებისას, ხელმოწერების საჭირო, მინიმალური რაოდენობის მიღების შემდეგ, „დაუნინგ სტრიტის“ წარმომადგენლები უზრუნველყოფენ იმას, რომ მთავარმა განმცხადებელმა მიიღოს პასუხი მის მიერ წამოჭრილ საკითხზე. გარდა ამისა, ვებგვერდზე იდება სრული უკუკავშირი, რათა ყველა ხელმომწერი გაეცნოს ელ-პეტიციის შედეგებს.

დასკვნები

მიუხედავად იმისა რომ #10 ინიციატივის ეფექტიანობა ჯერ არ არის ნათელი, მისი გამოყენების პირველივე წელს, ვებგვერდის მეშვეობით 29.000-ზე მეტი პეტიცია განხორციელდა 5.8 მილიონი ხელმოწერით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პრემიერ მინისტრთან უშუალო ურთიერთობის პროცესში ჩაერთო და მოტივირებული იყო პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. და ბოლოს, დიდი ბრიტანეთი 2007 წელს გახდა ელ-მმართველობის მთავარი ჯილდოს მფლობელი, რითაც მოახდინა აღნიშნული ინიციატივის მნიშვნელობის დემონსტრირება.

3.3.4. „იზრუნე მოქმედებისთვის“ პეტიციის (Care2) ვებგვერდი

ორგანიზაციის აღწერა

„იზრუნე მოქმედებისთვის“ (Care2) წარმოადგენს 10 მილიონზე მეტი წევრისგან შემდგარ ონლაინ საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს გასაუმჯობესებლად. ის ჩამოყალიბდა 1998 წელს, ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის, რენდი ფინთერის მიერ იმედით, რომ ინიციატივა მოახდენდა ცვლილებას და აღადგენდა მსოფლიო ბალანსს. დღესდღეობით, Care2 მოიცავს 50 თანამშრომელს, 9 მილიონ წევრს, 400 არაკომერციულ პარტნიორს და ასობით პასუხისმგებელ განმცხადებელს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მსოფლიოში ძლიერი და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში.

ელ-პეტიციის ამოცანა

Care2 ყველას სთავაზობს შესაფერის ინსტრუმენტებს სხვადასხვა მრავალფეროვან საკითხთან დაკავშირებული ელ-პეტიციების შესაქმნელად. თუმცა, Care2 ინიციატივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოსდაცვით და ცხოველთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ელ-პეტიციის წარდგენის პროცესი

ყველას აქვს უფლება ხელი მოაწეროს ან შექმნას პეტიცია, განურჩევლად ქვეყნისა თუ წარმომავლობისა. მხოლოდ წევრებს შეუძლიათ ელ-პეტიციის შექმნა, თუმცა პეტიციის ხელმოსაწერად წევრობა არ არის სავალდებულო. ხელმოწერის მსურველის ერთადერთი მოვალეობაა, შეავსოს სტანდარტული ფორმა ძირითადი მონაცემების წარმოდგენით. ხელმოწერების შეგროვების ხანგრძლივობის განსაზღვრა დამოკიდებულია მთავარ განმცხადებელზე. იგი ითვალისწინებს ყველა შესაბამის პარამეტრს და განსაზღვრავს დახურვის თარიღს, თუმცა, არსებობს დამატებითი ხელმოწერების მიღების საშუალება. პეტიციის წარმდგენი, ასახელებს იმ სამიზნე ორგანიზაციას ან ორგანოს, რომლის სახელზეც უნდა მოხდეს ელ-პეტიციის წარდგენა. განმცხადებელი მიზნად ისახავს ხელმოწერების სასურველი რაოდენობის შეგროვებას პეტიციის განხორციელებისთვის და ირჩევს, თუ რომელი შტატებიდან (აშშ-ს შემთხვევაში) ან/და ქვეყნებიდან არის მოთხოვნილი ხელმოწერები.

ელ-პეტიციის პროცედურის ოფიციალური დახურვის შემდეგ, განმცხადებელზეა დამოკიდებული, თუ რა იქნება მისი მომდევნო ნაბიჯი. ის ასევე პასუხისმგებელია სამიზნე ორგანიზაციასა თუ ორგანოს მიაწოდოს აღნიშნული დოკუმენტი, სანამ Care2-ის ვებგვერდი უზრუნველყოფს გარკვეული დამხმარე ინსტრუმენტების არსებობას. წარდგენისა და პროცესის დასრულების შემდეგ, განმცხადებლის სურვილზეა დამოკიდებული დეტალური უკუკავშირის უზრუნველყოფა. აღნიშნული რეკომენდირებულია თავად ვებგვერდის მიერ, ვინაიდან ხელმომწერთა უმრავლესობას აინტერესებს, რა შედეგი გამოიღო მათმა მონაწილეობამ.

დასკვნები

ვებგვერდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დღემდე შეიქმნა 755,494 პეტიცია და შეგროვდა 33,348,217 ხელმოწერა, რაც საკმაოდ მკაფიოდ ასახავს ამ ინიციატივის უდიდეს მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ბევრმა კონკრეტულმა შემთხვევამ მიიპყრო მას-მედის ყურადღება.

3.3.5. გერმანიის ბუნდესტაგის ელ-პეტიციის წარმომდგენი

ორგანიზაციის აღწერა

გერმანიის ბუნდესტაგმა შექმნა საკუთარი მიდგომა მას შემდეგ, რაც შეაფასა ელ-პეტიციის სისტემის წარმატებით განხორციელება შოტლანდიის პარლამენტის მიერ ეროვნულ დონეზე, ხოლო ბრისტოლისა და კინგსტონის საბჭოების ადგილობრივ დონეზე. ეს ინიციატივა დიწყო შოტლანდიის პარლამენტის საჯარო პეტიციების კომიტეტთან გამოცდილების გაზიარებით. ის ძალაში შევიდა 2005 წელს, როგორც ორწლიანი საცდელი პროგრამა, ხოლო 2007 წლიდან გადავიდა ოფიციალურ ფუნქციონირებაზე.

ელ-პეტიციის ამოცანა

შოტლანდიის პარლამენტის საჯარო პეტიციების კომიტეტთან და ნაპიერის უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო ტელედემოკრატიის ცენტრთან (ITC) პარტნიორობით, ბუნდესტაგმა შეიმუშავა საკუთარი მიდგომა. გერმანიის ბუნდესტაგის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ საკითხის უცოდინრობის, საექვო ხელმოწერების და ინფორმაციის, დებატებისა თუ უკუკავშირის ნაკლებობის აღმოფხვრის მეშვეობით გაეუმჯობესებინა პეტიციების წარმოდგენის ტრადიციული მეთოდი, სანაცვლოდ კი, მოეხდინა ღია, ანგარიშვალდებულებული და დებატებით გამყარებული პროცესის უზრუნველყოფა. პეტიციის კომიტეტი, რომლის პერსონალიც 80 ადამიანისგან შედგება, ინიშნება, სისტემის უნაკლო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. კომიტეტის განსაკუთრებულ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ელ-პეტიცია შედიოდეს „საზოგადოებრივ ინტერესებში“.

ელ-პეტიციის წარდგენის პროცესი

მას შემდეგ, რაც კომიტეტის მიერ დამტკიცდება ელ-პეტიციის ვალიდურობა და მოხდება მისი ვებგვერდზე გამოქვეყნება, იწყება 6 კვირიანი ხელმოწერისა და საკითხის განხილვის პროცესი. სანამ ელ-პეტიცია ღიაა ხელმოწერებისთვის, პარალელურად ფუნქციონირებს სპეციალურად მისთვის გამოყოფილი ფორუმი, სადაც ყველას შეუძლია შეუერთდეს პეტიციის საკითხზე გამართულ დისკუსიას, მაგარამ მხოლოდ წევრებს აქვთ კომენტარის გაკეთების უფლება. მიმდინარე პეტიციის ფორუმთან დამაკავშირებელი ბმულის გარდა, ასევე, ხელმისაწვდომია ფორუმის განყოფილება, სადაც თავმოყრილია ყველა დისკუსია. პროცედურის დასრულების შემდეგ ელ-პეტიციის წარდგენა ოფიციალური განხილვისთვის ხდება შესაბამის კომიტეტში. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი ნაბიჯის შესახებ, იქნება ეს მოკლე პრეზენტაციის მომზადება პარლამენტისთვის თუ შესაბამის სამსახურში მომენტალური წარმოდგენა. მთლიანი პროცესის დასრულების შემდეგ ხდება ყველა საჭირო დეტალის შემცველი უკუკავშირის განთავსება ვებგვერდზე.

დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ბუნდესტაგს ბევრი მკაცრი შეზღუდვა აქვს ელ-პეტიციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ზოგადად ინიციატივა, შესაძლოა, წარმატებულად ჩაითვალოს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ელ-პეტიციის მომსახურება დიდ მოწონებას იმსახურებს. ბუნდესტაგში, ყოველწლიურად ხდება დაახლოებით 2,800 ელ-პეტიციის წარმოდგენა. 2006 წელს დაფიქსირდა 443,048 ხელმოწერა ხოლო 2007 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 417,003 ხელმოწერას მიღწია. ეს ციფრები გვიჩვენებს, თუ რატომ დაიმსახურეს ელ-პეტიციებმა საზოგადოების დიდი ყურადღება და თავდადება კომიტეტის მხრიდან საკითხის მოგვარებისთვის.

3.3.6. გომსახურება GoPetition

ორგანიზაციის აღწერა

GoPetition არის პეტიციების წამყვანი საერთაშორისო ჰოსტინგის პორტალი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მოწინავე გლობალურ ჰოსტინგ-სერვისებს. GoPetition დაეხმარა მრავალ კამპანიას შეექმნა წარმატების ისტორია, შეიმუშავა საერთაშორისო ჩართულობა და მიიღო მსოფლიო საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერა. GoPetition წარმოადგენს არაპარტიულ ვებგვერდს, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური მისწრაფებები. მისი მიზანია ხარისხიანი პროგრამული მხარდაჭერისა და მიზნობრივი ჰოსტინგ მომსახურების უზრუნველყოფა. GoPetition ვებგვერდზე არსებული ყველა პეტიცია ხელმისაწვდომია ატვირთვისთანავე.

ელ-პეტიციის ამოცანა

იქიდან გამომდინარე, რომ GoPetition არის მხოლოდ ჰოსტინგ პორტალი და არ წარმოადგენს საჯარო ორგანიზაციას, მისი ერთადერთი მიზანია, საკუთარ მომხმარებლებსა და წევრებს შესთავაზოს ყველა საჭირო და შესაბამისი მომსახურება, რათა მათ შეძლონ პეტიციების შექმნა და განთავსება სასურველი სამიზნე ჯგუფებისთვის. GoPetition არ ერევა პეტიციის შინაარსში. მის ფუნქციას წარმოადგენს პროცედურის მეთვალყურეობა და წესების დარღვევის შემთხვევაში, ზომების მიღება. განმცხადებლის ერთადერთ საზრუნავს წარმოადგენს, საკუთარი პეტიციის მაქსიმალური პოპულარიზაციით, რაც შეიძლება მეტი ხელმოწერის მოზიდვა. შესაბამისად, საჭიროა, პეტიციასთან დამაკავშირებელი ბმულის (URL) არსებობა, მეტი თვალსაჩინოებისთვის, მეტ ვებგვერდზე და ფორუმზე განათავსების მიზნით.

ელპეტიციის წარდგენის პროცესი

პეტიციის შესაქმნელად აუცილებელია GoPetition-ის წევრობა, რაც ძალზედ მარტივი განსახორციელებელია. რეგისტრაციისთვის საჭიროა, მხოლოდ სახელისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითება, შემდეგ კი სახელისა და პაროლის შერჩევა. ყველას აქვს უფლება იყოს GoPetition-ის წევრი. პეტიციის შემუშავებისას, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს საკუთარი ქვეყანა, სამიზნე ჯგუფი და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული კატეგორია. მთავარ განმცხადებელს უფლება აქვს მიუთითოს, რომელი ველების შევსებაა აუცილებელი, თუმცა უფრო მეტი მონაწილის მოზიდვის მიზნით, რეკომენდირებულია, რაც შეიძლება ნაკლები ველი იყოს სავალდებულო. პეტიციებზე აქტიური ხელმოწერის პარალელურად ფუნქციონირებს ფორუმი, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს, დატოვოს კომენტარები, გაცვალოს მოსაზრებები და წარმოადგინოს სასარგებლო ინფორმაცია.

ელ-პეტიციის დახურვის შემდეგ, ხელმოწერებისთვის მისი წარდგენა არის მთავარი განმცხადებლის პასუხისმგებლობა. თუმცა, GoPetition-ს აქვს მრავალი ინსტრუმენტი, რომლებიც უკავშირდება კამპანიას და რეკლამას. აღნიშნული ეხმარება განმცხადებლებს დასახული მიზნების მიღწევაში. განმცხადებელს, ასევე, აქვს ვალდებულება დასრულებული პროცედურის ყველა დეტალის შესახებ განათავსოს უკუკავშირი, რათა ყველა დაინტერესებული მხარე იყოს ინფორმირებული მათი მონაწილეობის შედეგებთან დაკავშირებით.

დასკვნები

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ GoPetition-ს ელ-პეტიციების შექმნის კუთხით პირველი ადგილი აქვს მინიჭებული Google-ის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას დიდი წვლილი შეაქვს პეტიციების წარმოდგენის სფეროში. ვებგვერდზე განთავსებულია 20.000 პეტიციაზე მეტი, რაც უკავშირდება 75-ზე მეტი ქვეყანას.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გეუკაბეულად წარმოადგენს ელ-პეტეიციების ყველაზე წარმატებულ შემთხვევებთან დაკავშირებულ ძირითად მიგნებებს. მოცემული შედეგები გამოვლინდა ჩატარებული კვლევის შედეგად.

ცხრილი # 5: ელ-პეტეიციის 6 საუკეთესო პრაქტიკის მთავარი მახასიათებლები

შემთხვევა	პოლიტიკური მხარდაჭერა	ელ-პეტეიციის წარდგენის საკითხები/ ხელმძღვრების საჭირო რაოდენობა	ვის შეუძლია ელ-პეტეიციის წამოწყება?	ელ-პეტეიციის პოლიტიკორმის ძირითადი მახასიათებლები	მრავალპუნქტიანობის მიწოდებული უწყუავეშირი
შოტლანდიის პარლამენტი	დაბ, უზრუნველყოფილია საჯარო პეტეიციების კომიტეტის მიერ (PPE)	ელ-პეტეიციები ეძება სახელმწიფო მმართველის საკითხებს/ ხელმძღვრების მინიმალური რაოდენობა საჭირო არ არის	დააა შოტლანდიის ყველა მოქალაქისთვის დამატებულა ექვემდებარება საჯარო პეტეიციების კომიტეტს (PPE)	<ul style="list-style-type: none"> ყველა ელ-პეტეიციის ხელმძღვრება (დაა, დაბურული); ელ-პეტეიციის ხელმძღვრება / წარსადგენად საჭიროა სრული პირადი ინფორმაცია; ელ-პეტეიციის საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია უზრუნველყოფილია; არსებობს პეტეიციასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველი ფორუმი; ფუნქცია „უპირაღი მიგნობარს“; ხშირად დასმული კითხვების სექცია. 	დაბ, საჯარო პეტეიციების კომიტეტის მიერ (PPE)
ბრისტოლი	დაბ, უზრუნველყოფის ბრისტოლის საკრებულის კორპორატული საკონსულტაციო ჯგუფი	ელ-პეტეიციები ეძება ადგილობრივ საკითხებს/ ხელმძღვრების მინიმალური რაოდენობაა 10	დააა ბრისტოლის ყველა მოქალაქისთვის ელ-პეტეიციის შედეგების წარდგენა ექვემდებარება საკრებულის	<ul style="list-style-type: none"> ელ-პეტეიციის ხელმძღვრება / წარსადგენად საჭიროა სრული პირადი ინფორმაცია; პეტეიციის ხელმძღვრება უზრუნველყოფილია; საინფორმაციო ბიულეტენის ფუნქცია; ელ-პეტეიციის საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია უზრუნველყოფილია; ვებ-მაუწყებლობისა და ფორუმის ფუნქციები ხელმძღვრებითა. 	დაბ, საკრებულის მიერ
#10 ელ-პეტეიციის წარმომდგენი	დაბ, პრემიერ მინისტრის აპარატის მიერ	ელ-პეტეიციები ეძება მსოფლიო მასშტაბის საკითხებს/ ხელმძღვრების მინიმალური რაოდენობაა 200	დააა დიდი ბრიტანიის ყველა მოქალაქისთვის დამატებულა ექვემდებარება პრემიერ მინისტრის აპარატს	<ul style="list-style-type: none"> ყველა ელ-პეტეიციის ჩამონათვალი (დაა, დაბურული, უპირაღი); ელ-პეტეიციის ხელმძღვრება / წარსადგენად საჭიროა სრული პირადი ინფორმაცია; პეტეიციის საჭიროებისთვის მიკვლე დასაბუთება უზრუნველყოფილია; ხელმძღვრება ხშირად დასმული შეკითხვებისა და „იტაპობრივი სახელმძღვრებლის“ სექციები; საინფორმაციო ბიულეტენების ფუნქცია. 	დაბ, პრემიერ მინისტრის აპარატის მიერ


შემთხვევა	პოლიტიკური მხარდაჭერა	ელ-პეტციის წარდგენის საკითხები/ ხელმოწერების საჭირო რაოდენობა	ვის შეუძლია ელ-პეტციების წამოწყება?	ელ-პეტციის პლატფორმის ძირითადი მახასიათებლები	შოკლატისილის მიწოდებული უკუკავშირი
<p>ოზრუნე მოქმედებისთვის (Care2)</p> <p>არა (ოზრუნე მოქმედებისთვის (Care2) ინლაინ საზოგადოება)</p>		<p>ელ-პეტციები ძირითადად ეხება გარემოს დაცვის და ცხოველთა დაცვის საკითხებს</p> <p>ჩელმოწერების მინიმალური რაოდენობა საჭირო არ არის</p>	<p>ყველასათვის ღიაა (საჭიროა Care2-ს წევრობა)</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ელ-პეტციის ხელმძისაწერად/ წარსადგენად საჭიროა ძირითადი პირადი მონაცემების წარდგენა; ● პეტციის საჭიროებისთვის მოკლე დასახუთება უზრუნველყოფილია; ● პეტციის პოპულარიზაციის მიზნით, Care2-ს მიერ უზრუნველყოფილია გარკვეული სარგლამო ინსტრუმენტები; ● "უთხარი მეგობარს" საინფორმაციო ხიულენტები/ ბლოგის ფუნქციები; ● ხშირად დასმული კითხვების სექცია. 	<p>უკუკავშირის უზრუნველყოფა დამოკიდებული განმგზავნის სურვილზეა</p>
<p>გერმანიის ბუნდესტაგი</p>	<p>დაბ, გერმანიის ბუნდესტაგის პეტციების კომიტეტის მიერ</p>	<p>ელ-პეტციები ეხება მსოფლიო მასშტაბის საკითხებს/ ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა საჭირო არ არის</p>	<p>ღიაა ყველა მოქალაქისთვის /დამტკიცება ემგმედება რება პეტციების კომიტეტს</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ყველა ელ-პეტციის ჩამონათვალი (ღია, დახურული, უარყოფილი); ● სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განმარტავს პროცედურის ძირითად ეტაპებს და პასუხობს თითოეული ეტაპის შესახებ დასმულ ძირითად შეკითხვებს; ● ელ-პეტციის ხელმძისაწერად / წარსადგენად საჭიროა სრული პირადი ინფორმაცია; ● არსებობს პეტციასთან დაკავშირებული საკითხების განსხილველი ფორუმი. 	<p>დაბ, პეტციების კომიტეტის მიერ</p>
<p>GoPetition</p>	<p>არა</p>	<p>ელ-პეტციები დასაშვებია ეხებოდეს ნებისმიერ საკითხს</p> <p>ჩელმოწერების მინიმალური რაოდენობა საჭირო არ არის</p>	<p>ღიაა ყველა მოქალაქისთვის</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ელ-პეტციის ხელმძისაწერად/ წარსადგენად საჭიროა ძირითადი პირადი მონაცემების წარდგენა; ● ელ-პეტციები ირგანოზრებული გოგრაფიული, ხილი პეტციების უმეტესობა, მნიშლოურ ენაზე დაწერილი ან დაყოფილია კონკრეტული საკითხების კატეგორიების მიხედვით; ● ხშირად დასმული შეკითხვების სექცია / პროცედურის სახელმძღვანელო; ● "უთხარი მეგობარს" ფუნქცია; ● ელ-პეტციების პოპულარიზაციის შესაძლებლობა, სოციალური ქსელის მეშვეობით. 	

ელ-პეტციების საუკეთესო მაგალითებისა და სხვა არსებული შემთხვევების ანალიზის შედეგად ნათელია, რომ შემთხვევების დიდი უმრავლესობა ეხება ადგილობრივ საკითხებს, ხოლო ელ-პეტციის წარდგენის ხელმძღვანელობენ და ხელს უწყობენ ადგილობრივი საჭკებეი.

4. დასკვნები

4.1. რეზიუმე

წინამდებარე სახელმძღვანელოს საშუალებით მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ელ-ჩართულობის ძირითად ფორმებსა თუ სფეროებს და მისი განხორციელების მეთოდებსა თუ ინსტრუმენტებს. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ელ-პეტიციას. სახელმძღვანელოში აღწერილია მისი შინაარსი და თვისებები, განხორციელების პლატფორმები და წარმატებული მაგალითები. სახელმძღვანელოს სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ საჯარო მოხელეები და მოქალაქეები იმისთვის, რომ გაძლიერდეს მათი ინტერესი, პატივისცემა და შესაძლებლობა საზოგადოების ელექტრონულად მართვაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით.



4.2. ძირითადი პუნქტების შეჯამება

ელ-დემოკრატიის მიზანია, მოქალაქეები ჩართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაძლიეროს წარმომადგენლობითი დემოკრატია, ინტერნეტთან წვდომისთვის განკუთვნილი სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით, როგორებიცაა საჯარო და კერძო პერსონალური კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, პორტატული მოწყობილობები, ინტერაქტიული ციფრული ტელევიზია და ა.შ.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოადგენენ ძლიერ ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია ხალხის სოციალური ჩართულობის გაზრდა. შესაბამისად, ელ-ჩართულობის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით, ის ქმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის უნიკალურ შესაძლებლობას.

არსებობს ელ-ჩართულობის ისეთი ფორმები, როგორცაა: კონსულტაცია, განხილვა, გამოკითხვა, ხმის მიცემა, კამპანიის წარმოება, წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანია, პეტიციის წარდგენა, გადაწყვეტილების მიღება, მომსახურების მიწოდება, სივრცული დაგეგმარება, ინფორმაციული უზრუნველყოფა, შუამავლობა და საზოგადოების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ელ-ჩართულობა დაფუძნებულია არსებული და განვითარებადი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, ესენია: ჩატის ოთახები, ბლოგები, ონლაინ ფორუმები, ელ-პეტიციები, ელექტრონული პანელები, ელექტრონული ხმის მიცემა, ელექტრონული გამოკითხვები, ელექტრონული საზოგადოებები, გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტები, ვებ-ჩატის ინსტრუმენტები, ელ-კონსულტაციის ინსტრუმენტები. ელ-ჩართულობის პროცესების ხელშესაწყობად და გასაძლიერებლად გამოიყენება შემდეგი ტექნოლოგიები და სისტემები: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები, პოდასტები, ონლაინ გამოკითხვები, არგუმენტის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები, სიახლეთა ჯგუფები, ადრესატების სიები, ვიკი-ბმულები, სამიგზო სისტემები, ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები და ბუნებრივი (ადამიანური) ენის კომპიუტერული დამუშავების ინსტრუმენტები.

ელ-პეტიციები წარმოადგენს ელ-ჩართულობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რადგანაც ხელს უწყობს განმცხადებლებს უზრუნველყონ პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და სხვადასხვა მასალის არსებობა, როგორცაა: მოხსენებები, სტატისტიკა, სხვა ვებგვერდებთან დამაკავშირებელი ბმულები, მულტიმედიაური მასალა და ა.შ. მოქალაქეების ძირითადი მოლოდინი ელ-პეტიციებთან დაკავშირებით შემდგენაირია: პროცედურის გამჭვირვალობა, ელ-პეტიციის ხელმოწერის შემდეგ, ვებგვერდზე შესაბამისი უკუკავშირის არსებობა და რაც ყველაზე მთავარია, დადებითი შედეგის მიღება.

ელ-პეტიციის პლატფორმების მთავარი თვისება და ფუნქცია შემდგენაირია: სისტემაში ინტეგრირებული სამუშაო ნაკადი, რომელიც ელ-პეტიციის პროგრესს განვითარების ყველა ეტაპზე აკონტროლებს; მიმდინარე და დასრულებული პეტიციების ჩამონათვალი; პირობები ონლაინ რეჟიმში პეტიციების წარდგენის, მხარდაჭერისა და მასზე კომენტარის გაკეთების მსურველი მოქალაქეებისთვის; თითოეულ ელ-პეტიციაზე სადისკუსიო ფორუმი; ელ-პეტიციებისთვის დამხმარე ინფორმაციის უზრუნველყოფა; ელ-პეტიციის დახურვის შემდეგ, მომხმარებლებისთვის პროცედურის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიწოდება; პოპულარიზაციის ფუნქციები; შეფასების კითხვარი იმ მომხმარებლისთვის, ვინც ელ-პეტიციას ხელს აწერს; როგორც online, ისე offline ელ-პეტიციების მართვა, ერთი ადმინისტრაციული ინტერფეისის ფარგლებში; ერთი და იგივე IP მისამართიდან ორჯერ ან მრავალჯერ გამოყენებული ხელმოწერების შემოწმება; შეურაცხმყოფელი ან აშკარად ყალბი ხელმოწერების შემოწმება; ელ-პეტიციების დაარქივება; სტატისტიკის წარმოება ფაილების ჟურნალის ანალიზზე დაყრდნობით; ცალკეული ელ-პეტიციებისთვის ანგარიშგების წარმოება და ელ-პეტიციის მხარდამჭერთათვის ავტომატური ელექტრონული ფოსტის გაგზავნა, ელ-პეტიციის შედეგების შესახებ.

ელ-პეტიციის საუკეთესო მაგალითებს შორის დიდი ბრიტანეთის შემთხვევებია წარმოდგენილი, კერძოდ: შოტლანდიის პარლამენტის ელ-პეტიციის წარმომდგენი, ბრისტოლის ელ-პეტიციის წარმომდგენი, #10 ელ-პეტიციის მომსახურება; გერმანიის ბუნდესტაგის ელ-პეტიციის წარმომდგენი; საერთაშორისო პეტიციების ჰოსტინგ-პორტალები: მომსახურება GoPetition, იზრუნე მოქმედებისთვის (Care2) პეტიციის ვებგვერდი.

4.3. საქართველოს გამოცდილება

საქართველომ უკვე განახორციელა და დანერგა ელ-მმართველობის არაერთი წარმატებული პროექტი და ამ კუთხით მიიღო საერთაშორისო აღიარება. საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც რეფორმებსა და ინოვაციებზე პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს საჯარო სამსახურის სფეროში, 2009 წლიდან, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, აქტიურად მუშაობს საქართველოს საჯარო სამსახურში ელ-მმართველობის სისტემების დანერგვისა და განვითარების კუთხით. შედეგად, ბიუროს მიერ წარმატებით განხორციელდა ელ-მმართველობის რიგი პროექტები.

2010 წელს, ბიურომ შეიმუშავა ვებ-პლატფორმა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შესახებ - ქონებრივი დეკლარაციების აღრიცხვის ონლაინ სისტემა DECLARATION.GOV.GE, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა და გაამარტივა თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციების შევსება, წარდგენა და გამოქვეყნება. აღნიშნული ონლაინ სისტემა, 2013 წელს დაჯილდოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის შედეგად კორუფციის პრევენციისა და კორუფციასთან ბრძოლისთვის.

2011 წელს ამოქმედდა ვებ-პლატფორმა საჯარო სამსახურში არსებული კონკურსებისთვის საჯარო სამსახურში დასაქმების პორტალი HR.GOV.GE. სისტემა ამარტივებს როგორც ახალი სამუშაო ადგილის გამოცხადების, ისე სამსახურში აყვანის პროცესს. ვებგვერდის მეშვეობით კონკურსის გამოცხადება დასაქმების პროცესს გამჭვირვალეს ხდის და აქედან გამომდინარე, საქართველოს საჯარო სამსახურებში, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები ხელმისაწვდომი.

2011 წელს შეიმუშავდა მინიმალური ტექნიკური სტანდარტები ადამიანური რესურსების მართვისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემებისთვის, რომლებიც 2012 წელს დამტკიცდა მთავრობის მიერ. აღნიშნული სტანდარტები, მნიშვნელოვნად ზოგავს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს.

ამასთანავე, საქართველოში ელ-ჩართულობის ხელშემწყობი ინსტრუმენტების განხორციელების მაგალითებია: მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ელექტრონული სამთავრობო მომსახურებების ვებ-პორტალი E-GOVERNMENT.GE, მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE, იუსტიციის სახლის პორტალი HOUSE.GOV.GE, ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციის საქართველოს ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის ვებ-პორტალი NAPR.GOV.GE, ღია მმართველობის მონაცემთა ვებ-პორტალი DATA.GOV.GE, სახელმწიფო შესყიდვების პორტალი PROCUREMENT.GOV.GE.

სასურველია, რომ ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად მომდევნო ქმედებები ეხებოდეს მმართველობის ინფორმაციის გამოყენებისთვის ისეთი ინსტრუმენტების დამატებას, რომლებსაც ექნებათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შესაძლებლობები, სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ზეგავლენის გასააქტიურებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინაიდან მოქალაქეები უკვე მეტად ინფორმირებულნი არიან მმართველობის საკითხების შესახებ, მნიშვნელოვანია, საშუალება მიეცეთ აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკის შექმნისა და მმართველობის სფეროებში.

სასურველია, რომ ელ-ჩართულობის ხელშესაწყობად მომდევნო ქმედებები ეხებოდეს მმართველობის ინფორმაციის გამოყენებისთვის ისეთი ინსტრუმენტების დამატებას, რომლებსაც ექნებათ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შესაძლებლობები, სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ზეგავლენის გასააქტიურებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვინაიდან მოქალაქეები უკვე მეტად ინფორმირებულნი არიან მმართველობის საკითხების შესახებ, მნიშვნელოვანია, საშუალება მიეცეთ აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკის შექმნისა და მმართველობის სფეროებში.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ელ-ჩართულობის და ელ-პეტიციის წარდგენის კავშირი ღია მმართველობასთან, რომელიც მოიცავს ღია მმართველობის მონაცემთა ინიციატივას და საქართველოს საჯარო მოხელეების ტრენინგის საკითხებს. ელ-მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, სამდღიანი ტრენინგი განხორციელდა ინფორმაციული თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ „ევროკავშირისა და საქართველოს ელ-ჩართულობის მექანიზმის“ პროექტის ფარგლებში.

ტრენინგის ჩატარებამდე გაკეთდა საჭიროებების ანალიზი საქართველოს 16 სამინისტროში და გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიმართულებები: „ელექტრონული მმართველობის ეთიკა და პირადი მონაცემების დაცვა“, „ელ-მმართველობის სტრატეგიის ფორმულირება და პროექტის მენეჯმენტი“, „ინფორმაციის თავისუფლება და ინფორმაციის პროაქტიური გამოყენება“. ტრენინგს დაესწრო 150 საჯარო მოხელე, ხოლო დასრულების შემდეგ მოხდა განვლილი კურსის შეფასება. ტრენინგის საკითხების გაცნობასთან ერთად, მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს პრაქტიკული შემთხვევები, საქართველოს საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სააგენტოების პრაქტიკული მაგალითები. სასურველია, საჯარო მოხელეების ელ-მმართველობის ტრენინგი კვლავ გაგრძელდეს ახლად შემუშავებულ ელ-ჩართულობის ქართულ პორტალებზე და საუკეთესო საერთაშორისო ინსტრუმენტებზე დაყრდნობით.

საქართველო შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას (Open Government Partnership – OGP) 2012 წელს და მის ფარგლებში უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით. 2014-2016 წწ. ღია მმართველობის პარტნიორობის საართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმის რეკომენდაციები და იკისრა ვალდებულება, დაწეროს მოქალაქის პლატფორმა ICHANGE.GE, რომელიც შექმნის შემდეგ შესაძლებლობებს: საკითხის ან პრობლემის წამოჭრა, იდეის შეთავაზება, სხვა მოქალაქეების ჩართვა განხილვაში და ელექტრონული პეტიციის განთავსება, რაც კონკრეტულ ქმედებას მოითხოვს წვრილმან ან სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით.

ელ-ჩართულობა და ღია მმართველობა, 2014-2018 წწ. ელექტრონული საქართველოს სტრატეგიის თემატურ პრიორიტეტებს წარმოადგენენ. აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ღია მმართველობა შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ყოვლისმომცველი ხედვა იმისა, თუ როგორია ელ-საზოგადოება. ღია მმართველობა ხაზს უსვამს გამჭვირვალობას, მონაწილეობასა და თანამშრომლობას. ღია მმართველობის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ აზრს, რომ მოქალაქეებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საჯარო სექტორის მოღვაწეობის უფრო მეტ ასპექტში. ყოველივე ეს მოიცავს ცნობიერების ამაღლებას, მთავრობისადმი ნდობის მოპოვებას, ელექტრონული მომსახურებების აქტიურ გამოყენებას და საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში ჩართვას.

რეკომენდაციები, რომლებიც ეხება საქართველოში გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის შექმნის პროცესში სათანადო ელ-ჩართულობის განვითარებას, შეესაბამება სამოქმედო გეგმების ღონიძობებს და შესრულებასთან დაკავშირებულ მიზნებს, რაც აღწერილია საქართველოს ელ-სტრატეგიის პროექტის ელ-ჩართულობისა და ღია მმართველობის ნაწილში.

“ციფრული საქართველო/ელ-საქართველოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, 2014-2018 წწ.”, ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი „საქართველოში ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა (საქართველოს ელ-მთავრობა)“, 2013 წ.

4.4. რეკომენდაციები

ელ-ჩართულობის საუკეთესო მაგალითების სახელმძღვანელოს თანახმად, მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, ონლაინ სივრცის გამოყენება მოითხოვს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება დავეყთ ხუთ ეტაპად: /1/ ისტორიული ინფორმაცია; /2/ დაგეგმვა; /3/ მოქმედება; /4/ კომუნიკაცია; /5/ გადაწყვეტილება, შეფასება, უკუკავშირი. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ელექტრონული ჩართულობის თითოეულ ეტაპთან დაკავშირებული კითხვები და რეკომენდაციები, განხილულია საუკეთესო პრაქტიკული მაგალითები და შემთხვევები.

ევროპის ელ-ჩართულობის შემაჯამებელი მოხსენება გეთავაზობს შემდგომ კრიტერიუმებს მოქალაქეების წარმატებული მონაწილეობისთვის, კერძოდ:

- ნათლად ჩამოაყალიბეთ მიზანი, იცოდეთ რას ელით (რას არ ელით) ელ-ჩართულობისგან და პროცესის დასაწყისშივე მოახდინეთ ფოკუსირება ელ-ჩართულობის რეალურ საჭიროებებზე;
- მთლიანად, პროცესიც და შედეგებიც სავალდებულოა, ძალზედ გამჭვირვალე, ღია და უმეტეს შემთხვევაში, შეთანხმებადი იყოს, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას;
- მაღალი დონის (პოლიტიკური) მხარდაჭერა შესაძლოა ძალზედ მნიშვნელოვანი იყოს;
- ისაუბრეთ ხალხისთვის გასაგებ ენაზე და არ გამოიყენოთ „კოდირებული“ ინფორმაცია. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკის შექმნის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩასართავად, შესაძლოა, მხოლოდ პროექტების წარდგენა არ იყოს საკმარისი; სანაცვლოდ, საჭიროა, აღნიშნული პროექტების განმარტება ან ევროპის კანონმდებლობასთან შედარებით უფრო გასაგებ ენაზე მარტივი კომენტარების გაკეთება;
- მოუსმინეთ, შეეკითხეთ და ესაუბრეთ, მიეცით მოქალაქეებს ბრაზისა და იმედგაცრუების გამოხატვის საშუალება;
- დრო – მონაწილეები დასაწყისშივე ჩართეთ პოლიტიკის ციკლში;
- შეტანილი წვლილის შესახებ უზრუნველყავით უკუკავშირი, აჩვენეთ, რა სარგებელი მოაქვს ამას, რათა მოქალაქემ თავი ისე არ იგრძნოს, თითქოს მისი ძალისხმევა იკარგება. თუ შეტანილი წვლილი შედეგებზე არ ახდენს გავლენას, ახსენით მიზეზი;
- თუ გაწეული ძალისხმევა იგნორირებულია, მატულობს ცინიზმი;
- პროცესის დაწყებამდე, ჩამოყალიბდით, როგორ შეაგროვებთ მასალას, როგორ გააანალიზებთ, გამოიყენებთ და განუმარტავთ მონაწილეებს;
- დააკმაყოფილეთ უშუალოდ მონაწილეების ინტერესები/საჭიროებები, ჩართეთ ისინი ამ პროცესში;
- გამოიყენეთ ფრთხილი, დამოუკიდებელი, სანდო მოდერაცია, გამჭვირვალე პრინციპებით;

- მკაფიო, გამჭვირვალე, წესებზე დაფუძნებული მსჯელობა და ანგარიშვალდებულება, შესაძლოა მონაწილეობის გააქტიურებისთვის უფრო მნიშვნელოვანი გამოდგეს, ვიდრე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- თუკი სხვადასხვა ინსტრუმენტები/პროცესები (როგორცაა ელ-გამოკითხვა, ელექტრონული ხმის მიცემა, ელ-კონსულტაცია, ელ-პეტიციის წარდგენა) ერთი და იგივე პოლიტიკური პროცესის ნაწილია, არ უნდა იქნას განცალკევებული;
- მონაწილეების მიერ შეტანილი წვლილი ძალზედ სერიოზულად უნდა აღიქვას (მნიშვნელობა არ აქვს ვალდებულების შედეგად იქნას ეს წვლილი შეტანილი თუ ნებაყოფლობით), დაანახეთ რა სარგებელი მოაქვს მას. საჭიროა დასაბუთებული ახსნა-განმარტების უზრუნველყოფა საბოლოო შედეგისთვის ან გადაწყვეტილებისთვის, რომელიც კონკრეტულად ეხება მოქალაქის მიერ შეტანილ წვლილს;
- საჭიროებისამებრ, განახორციელეთ დამოუკიდებელი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოთ ბალანსი და ასევე, მინიმუმამდე შეამციროთ შეუსაბამო ონლაინ ქცევის ალბათობა;
- ყოველთვის ფრთხილად იყავით ციფრულ უთანასწორობასთან მიმართებაში, ნუ ივარაუდებთ, რომ ყველა შეხედულება ან საჭიროება იქნება გათვალისწინებული.
- შეაფასეთ – იგულისხმება მონაწილეთა გამოკითხვაც!

გამოყენებული ლიტერატურა

- Ahmed, N. (2006). An overview of e-participation models. United Nations, Division for Public Administration and Development Management, Department of Economics and Social Affairs. Retrieved February 6, 2010, from <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UN/UNPAN023622.pdf>
- Beddie, L. Macintosh, L., & Malina, A. (2001). E-democracy and the Scottish Parliament. In B. Schmid, Stanoevska-Slabeva, & V. Tschammer (Eds.). Towards the e-society: E-commerce, e-business, and e-government (pp. 695-706). Boston/Dordrecht/London: IFIP, Kluwer Academic Publishers.
- Berman, J., & Mulligan, D.K. (2003). Digital Grass Roots. Issue Advocacy in the Age of the Internet. In D.M. Anderson, & M. Cornfield (Eds.), The Civic Web, Online Politics and Democratic Value (pp. 77-93). Lanham, MD: Rowman & Littlefield.
- Dahlberg, L., & Siapera, S. (2006). Radical Democracy and the Internet: Interrogating Theory and Practice. New York: NY: Palgrave Macmillan.
- Ergazakis, K., Metaxiotis, K. and Tsitsanis, T. (2010). A State-of-The-Art Review of Applied Forms and Areas, Tools and Technologies for e-Participation, International Journal of Electronic Government Research, Vol. 7 No.1, pp. 1-19.
- Hacker, K.L., & van Dijk, J. (2000). Digital Democracy: Issues of Theory and Practice. Sage Publications Ltd.
- Kampitaki D., Tambouris E., & Tarabanis K. (2008). e-Electioneering: Current Research Trends. Lecture Notes in Computer Science, 184-194, Springer.
- Macintosh, A. (2007). "E-democracy and e-participation research in Europe. Integrated Series in Information Systems, 17, 85-102.
- Reddick, C. (2010). Politics, Democracy and E-Government: Participation and Service Delivery, IGI Publications, USA.
- Tambouris E., (2008). Survey of e-Participation Good Practice Cases. Paper presented at European e-Participation Workshop, eDem conference 2008.
- Xenakis, A.& Macintosh, A. (2004a).Major Issues in Electronic Voting in the context of the UK pilots. Journal of E-Government, 1(1), 53-74.



DIADIKASIA S.A.
Business Consultants

პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ
ორგანიზაცია დიადიკასია ზიზნეს კონსულტანტების
ხელმძღვანელობით (Diadikasia Business Consultants S.A.)

მიმდინარე გამოცემაზე სრულიად პასუხისმგებელია ორგანიზაცია
„დიადიკასია ზიზნეს კონსულტანტების კონსორციუმი“
(Diadikasia Business Consultants S.A.)
და მისი შინაარსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას განხილული
როგორც ევროკავშირის შეხედულება